# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 2 აპრილი 2005 №72 (2395) ფასი 50 თეთრი




**ფეხბურთი ბრძოლის ველი არ არის**

ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან

4



**ახალი თავების დღე**

ჩემპიონატის 26-ე ტურის ანონსი

5



**ზიზუ! ზიზუ!**

ზინედინ ზიდანი საფრანგეთის ნაკრებში ბრუნდება

8

# პლატინი საქართველოსთვის, საქართველო პლატინისთვის




# დინამო ცხადაძით და ერთი დირექტორით



# ლეგენდა და სინამდვილე



მიშელ პლატინის უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში მერაბ ჟორდანიას იმედი აქვს

*ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ და დრამატულ საღამოს, მფრინავი ბოთლებისა და ქვების წვიმაში, რომელმაც ხალხს ნამდვილი წვიმა მიავიწყა, გატეხილი გულებისა და დამსხვრეული ოცნებების სტადიონის ტრიბუნაზე იჯდა მიშელ პლატინი და უყურებდა ფეხბურთს, რომელიც არც ფეხბურთი იყო და არც საზოგადოდ სპორტი.*

*მიშელ პლატინი თბილისში ჩამოვიდა როგორც მერაბ ჟორდანიას მეგობარი, უეფას აღმასკომის წევრი და მომავალში პრეზიდენტობის მოსურნე კაცი, რომელიც მხარდამჭერებს კრებს გაზრდილ ევროპაში.*

*ის ძალიან დიდი ფეხბურთელი იყო და ახლა ამაზე ლაპარაკი სისულელეც კია. საინტერესო ის უფროა, რომ მისი ვიზიტი ნამდვილი სატანჯველითა და ათასგვარი დემონებით გაჯერებულ ქართულ ისტორიას დაემთხვა და ამ მღელვარე და უვარგის ისტორიაში ძალიან გამოირჩეოდა მისი ღიმილი და ხალისი. ის თითქოს თერაპიას უტარებდა თავის მეგობარ ალენ ჟირესს და საერთოდ ყველას, ვინც ასე დაამძიმა საფეხბურთო საღამომ. ასეა ხოლმე: როცა ერთ რაღაცაში ძალიან მაგარი ხარ, ისე გამოდის, რომ სხვა რაღაცებიც მშვენივრად გამოგდის...*

## მიშელ პლატინი:
## ჩემი ევროპა საქართველოა



უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი და მისი შესაძლო მემკვიდრე

მოკლედ, აგერ თქვენ, აგერ „სარბიელი" და დიდი ფრანგი მიშელ პლატინი.

**— რას იტყვით, როგორ გრძნობთ თავს საქართველოში?**

— მშვენივრად, არანაირი პრობლემა, მასპინძლების ყურადღება არ მაკლია.

**— მარტო რატომ გვესტუმრეთ?**

— აბა, ვინ გინდოდათ, რომ წამომეყვანა?

**— ცნობილი მეგობრები არ გაკლიათ...**

— ჩემი უახლოესი მეგობარი აქ დამხვდა და...

**— საქართველოს ნაკრების მწვრთნელი?**

— დიახ, ალენ ჟირესი... თუმც მეორე მეგობარმა, მერაბ ჟორდანიამ დამპატიჟა.

**— არადა, დიდხანს, ალენ ჟირესის მწვრთნელად დანიშვნის მერე გელოდით...**

— აქამდე ორ-სამჯერ მაროლაც ვაპირებდი საქართველოში ჩამოსვლას, მაგრამ პირადი საქმეების გამო ეს ვერ მოვახერხე.

**— კიდევ როდის ჩამოხვალთ?**

— როცა უეფას პრეზიდენტი გავხდები...

იხუმრა მიშელ პლატინიმ და თხილი გაფცქვნა...

— ზუსტად ვერ გეტყვით, მეორედ როდის ჩამოვალ, მაგრამ ამის სურვილი კი მაქვს.

არადა, ჩვენ შეხვედრამდე სტუმარმა პრესკონფერენციაზე თქვა, უეფას პრეზიდენტობაზე უფრო რეალური ისაა, რომ საქართველოში ხშირ-ხშირად ჩამოვალო. მაგრამ ეგ არაფერი, პლატინისთვის საქართველოს მის წინასაარჩევნო კამპანიაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს და მომავალში მას მართლაც ხშირად უნდა ველოდოთ.

**— უეფას პრეზიდენტობა როდის გადაწყვიტეთ?**

— საბოლოო გადაწყვეტილება რამდენიმე თვის წინ მივიღე, თუმც იქამდე ბევრს ვფიქრობდი და რჩევას მეგობრებს ვეკითხებოდი. მათ დამარწმუნეს, რომ ასე აჯობებდა.

**— და უკვე ჩავთვალოთ, რომ უეფას პრეზიდენტი თქვენ იქნებით?**

სტუმარს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ... ისევ თხილი, ფრთხილი მზერა, საგაზეთოდ ვლაპარაკობო, ალბათ, ესეც გაიფიქრა და ლამის ჩურჩულით...

— იცით, ჩემი და ფრანც ბეკენბაუერის დაპირისპირება არ შეიძლება.

**— რატომ?**

— ვერ გეტყვით, მაგრამ, მგონი, რომ არ შეიძლება.

**— ბეკენბაუერის კონკურენტობა თქვენი გამარჯვების შანსებს ამცირებს?**

მხრები აიჩეჩა, უსიტყვო პასუხი იყო. მიშელ პლატინი ფრანც ბეკენბაუერის ამასწინდელმა განცხადებამ, უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში ეგებ მონაწილეობა მივიღოო, საგონებელში ჩააგდო. თუ ასე მოხდა, დიდ ფრანგს დიდი გერმანელის სახით მრისხანე კონკურენტი ეყოლება.

თუმც პლატინი მთლად უშანსოდ როდი იქნება...

**— პრესკონფერენციაზე თქვით, საქართველოში უეფას საპრეზიდენტო აგიტაცია-პროპაგანდისთვის არ ჩამოვსულვარო...**

— ასეც არის, მერაბ ჟორდანიასთან მეგობრულად ვსტუმრობ, მან თურქეთთან მატჩზე დამპატიჟა. თანაც, ალენ ჟირესიც აქ მეგულებოდა.

**— მერაბ ჟორდანიასთან უეფას წინასაარჩევნო ამბებზე არ გისაუბრიათ?**

— რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ, მაგრამ მნიშვნელოვანი არაფერი გვითქვამს.

კულუარებში კი არაერთხელ თქმულა, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის ვიაჩესლავ კოლოსკოვის მემკვიდრედ აღმოსავლეთ ევროპაში გავლენის თვალსაზრისით უეფას მერაბ ჟორდანია მიაჩნიაო. პლატინისთან მომდევნო კითხვაც ეს იყო, მაგრამ სხვა ფორმით. ფრანგმა კონკრეტულ პასუხს თავი აარიდა, თუმც რასაც ფიქრობს, მისახვედრად კი თქვა.

— ფეხბურთი ყველას! — ასეთია ჩემი დევიზი. მიმაჩნია, რომ ფეხბურთი ყველამ უნდა ითამაშოს, მდიდარმაც და ღარიბმაც. უეფას პრეზიდენტი თუ გავხდი, ალბათ, ჩემპიონთა ლიგის ფორმატს შევცვლი, რითაც ფეხბურთი კიდევ უფრო პოპულარული გახდება. არ შეიძლება, ფეხბურთი მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის იყოს. უეფაში 52 საფეხბურთო ასოციაციაა გაერთიანებული, მათი უმეტესობა კი არც თუ ისე დალხენილია, მაგალითად, საქართველო. რაც შეეხება მერაბ ჟორდანიას, ერთხელაც გეტყვით, ის ჩემი მეგობარია და, რა თქმა უნდა, მისი დიდი იმედი მაქვს. ჟორდანია ევროპაში ავტორიტეტული პრეზიდენტია.

**— ჩემპიონთა ლიგის ფორმატს შევცვლიო, თქვით, უფრო რომ დავაზუსტოთ?**

— არა, მეტს არაფერს გეტყვით...

არადა, მიშელ პლატინის სიტყვა ენაზე ჰქონდა...

— უეფას აღმასკომის გაფართოებაც არ იქნებოდა ურიგო. ვფიქრობ, რომ აღმასკომში მხოლოდ შეძლებული ქვეყნების წარმომადგენლები არ უნდა იყვნენ.

— კიდევ?

— თუ გავიმარჯვე, საცხოვრებელ ადგილს შევიცვლი, შვეიცარიაში დავსახლდები და ამით ყოველდღიურ საქმიანობასთან უფრო ახლოს ვიქნები. აქტიური პრეზიდენტობა მსურს...

ხომ არ აჯობებდა სხვა თემაზე გვესაუბრა? — პლატინის უეფასა და მის წინასაარჩევნო ამბებში ჩაღრმავება აღარ სურდა...

**— ვისაუბროთ. ერთი ქართველი ფეხბურთელის გვარს გეტყვით — დავით ყიფიანი. თუ არ ვცდები, თქვენ მას იცნობდით.**

— ყიფიანი?



დიეგო მარადონა და მიშელ პლატინი: დიდები და უცნაურები



ხასიათშემხდარი ალენ ჟირესი მეგობრის სტუმრობამ გაახალისა

პასუხამდე შეყოვნდა, მერე რიხით განაგრძო.

— ყიფიანი და ჩივაძე მსოფლიოს მასშტაბის ფეხბურთელები იყვნენ. ყიფიანს რამდენჯერმე შევხვედრივარ და, მგონი, არ მეშლება, ერთად ევროპის ნაკრებშიც გვითამაშია. ძალიან ძლიერი ფეხბურთელი იყო. ჩივაძე კი... ვამაყობ, რომ ჩივაძე ჩემი მეგობარია. მისნაირი ფეხბურთი ერთი-ორს თუ უთამაშია. მახსოვს, როცა საბჭოთა კავშირზე სიტყვა ითქმოდა, იქ ჩივაძის ხსენებაც იყო. ასეთი ჭკვიანი მცველები დღეს აღარ არიან.

**— „სენტ ეტიენიდან“ „იუვენტუსში“ თქვენი ტრანსფერის პერიოდს თუ გაიხსენებთ? მაშინ ამბობდნენ, „სენტ ეტიენს“ პლატინის შემცვლელად სწორედ ყიფიანი სურსო.**

— ვიცი, მახსოვს. როცა „იუვენტუსში“ ჩემი გადასვლის საკითხი გარკვეული იყო, მითხრეს, შენ შემცვლელად ერთი ფეხბურთელი გვეგულებაო, მაგრამ დარწმუნებულნი არ იყვნენ, მის გადაბირებას თუ შეძლებდნენ. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს ფეხბურთელი ყიფიანი იყო, ტრანსფერი კი არ შედგა. უფრო გვიან კი მითხრეს, ყიფიანი ქართველიაო. სამწუხაროა, რომ იგი ცოცხალი აღარ არის.

**— „იუვენტუსი“ ვახსენეთ და, დღემდე ამბობენ, რომ თქვენი დროის ის გუნდი უძლეველი იყო...**

პლატინი მოგონებებში წავიდა, „იუვენტუსის“ ხსენებამ ჩვენს საუბარს დადებითი ემოცია შემატა.

— „იუვენტუსი“... ეს მართლაც სასწაული იყო... დიდი ფეხბურთელების გუნდი და დიდი გუნდი იყო...

დიდ ფეხბურთელს „იუვენტუსის“ ხსენებაზე ენაც კი დაება.

**— საუკეთესო პარტნიორი?**

— როსი. გენიოსი იყო. როცა ბურთს მიიღებდა, ვიცოდი, რომ გოლი იყო.

**— ბურთს კი თქვენგან იღებდა...**

— ერთი, ორი და... გოლი იყო. ბურთი მიღებული არ მქონდა, უკვე ვიცოდი, როსი საით გაიხსნებოდა.

პლატინი ხელებით, ფეხებით და ენით ლაპარაკობდა, ემოცია სჭარბობდა ის 20-25 წლის ამბებს იხსენებდა.

წამით ისევ შეყოვნდა და მეც ვკითხე:

**— საფრანგეთის ნაკრები?**

— რატომ მაშინ არ იყო „ოქროს გოლი“?

კითხვა შემოაბრუნა, თუმც თავადვე განაგრძო:

— „ოქროს გოლის“ წესი მაშინ რომ ყოფილიყო, ჩვენ უკვე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ვიქნებოდით. არ ვიცი, გახსოვთ, გერმანიასთან ნახევარფინალი?

**— მახსოვს.**

— საოცარი მატჩი იყო.

**— იცით, კიდევ რა მახსოვს? პლატინიზე ამბობდნენ, მესამე ადგილისთვის მატჩს შეგნებულად არ თამაშობსო. ასე იყო 1982 და 1986 წლებში... მართალია?**

ისევ ღიმილი, თვალებით თქვა პასუხი — ამის კითხვა რა საჭირო იყო.

**— საფრანგეთის ნაკრებში თქვენი საუკეთესო პარტნიორი ალენ ჟირესი იყო?**

— ასე გიპასუხებთ: ჩემი და ჟირესის საუკეთესო პარტნიორი ბერნარ ჟენგინი იყო. საფრანგეთის დიდი ნაკრების დიდი ფეხბურთელი ბერნარ ჟენგინი იყო. ძალიან კარგი ადამიანია, ჩვენი უახლოესი მეგობარი. ის საოცრად თამაშობდა...

**— კი მაგრამ, თქვენ და ალენ ჟირესი?**

— კარგად ვთამაშობდით?

**— ძალიან.**

— გმადლობთ.

**— დიეგო მარადონაზეც გკითხავთ.**

— და როგორ ფიქრობთ, რას გიპასუხებთ?

**— ალბათ იტყვით, რომ...**

— დიახ, მარადონა დიდი და უცნაურია.

**— მიშელ პლატინი როგორია?**

— რა გითხრათ, ალბათ, თავისებურად ისიც უცნაურია...

**— ქართული სამზარეულო მოგეწონათ?**

პასუხი კითხვამდეც ცხადი იყო — პლატინი შებოლილ სულგუნს ეტანებოდა

— ძალიან, განსაკუთრებით ეს ყველი, ღვინოც შესანიშნავია... „ბორდოს“ მაგონებს...

**კობა ინასარიძე**



პლატინის ხელში ბურთი ოქროც იყო და ჭადროც



# ორი შეხვედრა მიშელ პლატინისთან

**თუ** არ ჩავთვლით ტელეეკრანსა და ფოტოსურათებს, მიშელ პლატინი სულ ორჯერ ვნახე — ერთხელ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, მეორედ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილთან სტუმრობისას.

მაშინ, 2000 წელს სიდნეიში მიშელ პლატინი ძიუდოს დარბაზში თავის თანამემამულეებს გულშემატკივრობდა, ჩვენ კი ჩვენებს ვქომაგობდით. შეჯიბრების მერე პლატინი ფრანგი ძიუდოისტების ნაკრების ერთ წევრთან ერთად დარბაზიდან მხარზე ხელის მეგობრული თათუნით გამოვიდა. გამოვიდა და უმალ ტელეკამერებისა და მიკროფონების ტყვეობაში აღმოჩნდა. მეც ფოტოაპარატი მოვიმარჯვე. თუმცა, უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი კადრები მაშინ გადავიღე, როცა ნონა გაფრინდაშვილი გამოჩნდა. პლატინი რომ დაინახა, უმალ დიდი ხნის ნაცნობივით მიეჭრა.

— ეს ქალბატონი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია ჭადრაკში — ასე გააცნეს პლატინის გაფრინდაშვილი, მერე კი მათ ერთხანს იმუსაიფეს. საუბრის მერე ნონა გაფრინდაშვილი ახლა ჩვენკენ გამოემართა, ამ კაცის ფეხბურთის თამაშზე ვგიჟდებოდი და ჭკუას ვკარგავდიო.

ასე იყო თუ ისე, მათი შეხვედრის ერთი ფოტო უმალ „სარბიელში“ ვაფრინე, მერე სიდნეის ოლიმპიური თამაშების ამსახველ პერსონალურ გამოფენაზე ჩამოვკიდე და ბოლოს ნონა გაფრინდაშვილის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ჩემსავე წიგნშიც შევიტანე.

მიშელ პლატინი მეორედ ბადრი პატარკაციშვილთან ვნახე-მეთქი. იქ პლატინი ალენ ჟირესთან ერთად იყო. მათ ახლდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და ფედერაციის სხვა მოხელეები: ვალერი ჩოლარია, ალექსანდრე ჩივაძე...

ბადრი პატარკაციშვილთან ერთად თავისებური მასპინძლის როლში იყვნენ სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, აწ უკვე საპატიო პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი...

სტუმარ-მასპინძელმა ერთხანს აგიზგიზებულ, ბაყბაყდევების სადარ ბუხართან იმუსაიფეს. რაკი ამ შეხვედრას საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების გაცამტვერების გამო მრუმე ფონი ერთვოდა, საუბარი თავიდან ხალისიანი ვერ გამოვიდა. თუმცა, უშუალო და გულღია კი იყო.

ბოლოს და ბოლოს, ზოგჯერ ჭირისუფალნიც კი ხუმრობენ და იუმორი აქაც თანდათან შემოიპარა. პირველად მიშელ პლატინი დადგა ოხუნჯობის ხასიათზე:

„თურქეთის ნაკრებთან შეხვედრის წინ ჩემს მეგობარ ალენ ჟირესს ვუთხარი, რა ვქნა, საქართველოს ნაკრების მაისურა ხომ არ გადავიცვა და დაგეხმაროთ-მეთქი, მაგრამ იუარა, ახლა კი ნანობს, ჩემი წინადადება რომ უარყო“...

პლატინიმ „დაგვამშვიდა“ კიდეც: ამ მარცხით ტრაგედია არ უნდა შექმნათ. ვის არ წაუგია. აი, საფრანგეთის ნაკრებიც ერთბაშად არ გამხდარა მსოფლიოს ჩემპიონი. ჩვენც ბევრი სიმწარე და გაწბილება გვახსოვსო.

ალენ ჟირესმაც ისაუბრა. მარცხი სხვებისთვის სულაც არ გადაუბრალებია, ბოლოს კი თქვა, ჩვენ ახლა მომავალი შესარჩევი ციკლისთვის უნდა დავიწყოთ მზადებაო.

ბადრი პატარკაციშვილმა იმედიანად თქვა, ქვეყანას, რომელსაც ნაკრების მწვრთნელად ალენ ჟირესი ჰყავს, მიშელ პლატინიც დიდად ქომაგობს და ეს კაცი თარჯიმნობაშიც კი გვეხმარება, მომავალი ნამდვილად აქვსო.

ამ ნახევრადხუმრობით დასრულებულ ფრაზაში სრული სერიოზულობა იყო - ჟირესი რომ ფრანგულად საუბრობდა, მის ნათქვამს პლატინი იტალიურად, იტალიურიდან ქართულად კი უკვე სეოკ-ის ინგლისური ენის თარჯიმანი ირაკლი კაბულაშვილი გვითარგმნიდა.

ბოლოს ბადრი პატარკაციშვილმა მიშელ პლატინი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სამახსოვრო საიუბილეო მედლით დააჯილდოვა.

იმედია, პლატინის უეფას პრეზიდენტადაც აირჩევენ და მაშინ იგი ალბათ ისე დაეხმარება ქართულ ფეხბურთს და ოლიმპიურ მოძრაობასაც, რომ იქნებ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის უმაღლეს ჯილდოს — ოლიმპიურ ორდენსაც გამოჰკრას ხელი.

ოლიმპიურ მოძრაობაზე გამახსენდა — პლატინიმ ისიც თქვა, ოლიმპიურ მოძრაობას იმდენი ფასეულობანი და ღირსება გააჩნია, ოლიმპიურ თამაშებზე ისეთი ატმოსფეროა, მასში მონაწილე სპორტსმენებისა მშურს.

გუშინწინდელ შეხვედრაზე პლატინის ჩვენი ფეხბურთის მესვეურებმა ეროვნული ნაკრების ფორმის სრული კომპლექტით [illegible] ჩანთა აჩუქეს. მერე პლატინის, ჟირესსა და ჟორდანიას ბურთზე ავტოგრაფები დაატოვებინეს, ის ბურთი კი თავის მხრივ ბადრი პატარკაციშვილს გადასცეს.

ჩემი მხრივ, სიდნეიში გადაღებული, პლატინის სურათით დამშვენებული და ბადრი პატარკაციშვილის დახმარებით გამოცემული წიგნი „ნონა“ ვაჩუქე სტუმარს წარწერით: „დიდ მიშელ პლატინის, კეთილი სურვილებით ავტორისგან“.

— აა, ეს ის ქალბატონია, არა, ჭადრაკის დედოფალი? — მკითხა და გადაფურცლა, იქ კი ჭადრაკის დედოფალთან გადაღებული ის სურათიც ნახა...

ამასობაში შეხვედრის ოფიციალური ნაწილი დასრულდა და დაგვიანებული ნონა გაფრინდაშვილიც გამოჩნდა.

სამწუხაროდ, ამჯერად მათი შეხვედრის ფირზე აღბეჭდვა ვერ მოვახერხე, მაგრამ პლატინიმ დაგვამშვიდა, ამიერიდან საქართველოში ბევრჯერ ჩამოვალო.

ჰოდა...

**ავთანდილ გურასაშვილი**

*ავტორის ფოტო*

# დინამოში ასეა მწვრთნელი არის, დირექტორი — არა

**სანაკრებო** ამბები მეტ-ნაკლებად მიწყნარდა და თბილისის „დინამომ“ ახალი მწვრთნელიც წარადგინა. გუშინ დილის საწვრთნელ ბაზაზე კლუბის მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა კახა ცხადაძე ოფიციალურად გამოაცხადა „დინამოს“ მწვრთნელად.

პეტრიაშვილმა გვამცნო ერთი სიახლეც — „დინამოს“ სპორტული დირექტორის ადგილი ვაკანტურია, კახა ჭუმბურიძე თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ, რაც მმართველმა დირექტორმა ასე ახსნა:

— „დინამოს“ ყველა წევრს პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა აქვს. ადამიანის ცხოვრებაში ხანდახან დგება მომენტი, როცა უნდა დაისვენო. ასე მოხდა ახლაც. როცა მწვრთნელობიდან პოსტიდან გია გეგუჩაძის გათავისუფლების საკითხი განიხილებოდა, პასუხისმგებლობა კახა ჭუმბურიძემაც გაიზიარა. დღესდღეობით „დინამოში“ სპორტული დირექტორის ადგილი ვაკანტურია.

კახა ჭუმბურიძის მემკვიდრის ვინაობა ჯერ გაურკვეველია, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობას რამდენიმე კანდიდატი უკვე შეუგულებია.

ახლა კი კახა ცხადაძის ამბები...

— „დინამოს“ თავკაცად კახა ცხადაძის დანიშვნა ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ. ჩავთვალეთ, რომ ცხადაძის კანდიდატურა ამ ეტაპზე ყველაზე ოპტიმალური იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, ახალი მწვრთნელისა და მისი ახალი თანაშემწეების ხელში „დინამო“ წლეულს ყველა დასახულ მიზანს მიაღწევს — თქვა დავით პეტრიაშვილმა.

— მწვრთნელთან კონტრაქტის პირობებს არ გავახმაურებ, თუმც გეტყვით, რომ ქვეყნის ჩემპიონობასთან ერთად „დინამოს“ მიზანი ევროსარბიელზე ორი ეტაპის გადალახვაც არის. ეს ჩვენი მინიმალური მოთხოვნაა.

— „დინამოში“ ყოველთვის აქტუალური იქნება ფეხბურთელთა წასვლა-მოსვლის საკითხი. ეს გლობალური პრობლემაა და მარტივად ვერ მოგვარდება. კანონმდებლობით საქართველოში კლუბს არ აქვს ფეხბურთელთან სამწლიანზე ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმების უფლება, ეს კი, თავისთავად, ფეხბურთელთა მიგრაციის ერთ-ერთი წინაპირობაა. თუ ფიფას წესებით ხუთწლიანი კონტრაქტი ნებადართულია, ჩვენი კანონმდებლობით ეს აკრძალული რატომ უნდა იყოს?! კლუბებმა, სახელმწიფომ და ფედერაციამ ერთად უნდა იზრუნონ ამ პრობლემის მოსაგვარებლად. როცა ფეხბურთელმა იცის, რომ უცხოეთში, თუნდაც მესამეხარისხოვან კლუბში ათჯერ მეტი ანაზღაურება ექნება, ვიდრე საქართველოში, მას ვერ დააკავებ. თუ ამას გააკეთებ, მაშინ ფეხბურთელი უგულოდ ითამაშებს, რასაც მისი გაშვება სჯობს.

*კახა ცხადაძე:* პირველ ყოვლისა, მსურს, მადლობა ვუთხრა „დინამოს“ ხელმძღვანელებს ნდობისთვის. ვეცდები, მათი იმედები გავამართლო. დამწყები მწვრთნელი ვარ, მაგრამ მაინც დავთანხმდი კლუბის წინადადებას და ახლა უკვე ჩემებურ პოლიტიკას გავატარებ. ბუნებრივია, ახალი მწვრთნელის დანიშვნას კლუბში გარკვეული რეორგანიზაცია უნდა მოჰყვეს, ყველანაირ შედეგზე ხომ პასუხისმგებელი მე ვარ. ჩემი თანაშემწე ზაურ სვანაძე იქნება, მეკარეებს გელა ჭანტურია გაწვრთნის, ფიზმომზადების მწვრთნელად ბრაზილიელი რიკარდო როსა დარჩება. მისი მუშაობით კმაყოფილი ვარ და ვიმედოვნებ, როსას ხელში ფეხბურთელები ფიზიკურ კონდიციებს კიდევ უფრო აიმაღლებენ.

„დინამო 2“-ის თავკაცი კი კახა კაჭარავა იქნება.

— ჯერჯერობით ჩვენი მიზანი და საზრუნავი ჩემპიონობაა. „დინამო“ ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა, მათი შეცვლის საშუალება კი ახლა არ გვაქვს. სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაიხურა. მიზანს იმ კონტინგენტით უნდა მივაღწიოთ, რაც გვყავს. ვფიქრობ, ამ რესურსით ჩემპიონობა შეგვიძლია.

— ჯერ ჩემპიონობა და მერე ევროსარბიელი. აგვისტომდე ახალი ფეხბურთელების დამატებას შევძლებთ და გავძლიერდებით.

— სეზონის ბოლომდე „დინამოდან“ განათხოვრებულ ფეხბურთელებს ვერ დავიბრუნებთ. სანდრო იაშვილზე კი გეტყვით, რომ ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელია, მაგრამ მას სპეციფიკური მიდგომა სჭირდება. კარგია, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს ამბიციები აქვს, უკეთესი კი ის იქნება, ეს ამბიციები ფეხბურთელის წინსვლას თუ წაადგება.

— გოჩა ჯამარაულს და გიორგი ნემსაძეს პირისპირ ვესაუბრე. ისინი რა დონის ფეხბურთელებიც არიან, ყველამ იცის, თუმც მათ მიმართ მოედანზე იგივე მოთხოვნები მექნება, როგორიც 18-19 წლის ბიჭებთან. ვიდრე ახალ ფეხბურთელებს დავიმატებთ, გუნდის ლიდერობა უნდა იკისრონ. საამისოდ კი ორივე ძალიან მონდომებულია.

**ძოგა ინასარიძე**






# ფეხბურთი ბრძოლის ველი არ არის

*გია გეგუჩაძე, ვინც შარშან თბილისის „დინამო“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა, ახლა უმუშევარია — ჩემპიონატის 23-ე ტურის მერე ის „დინამოს“ მწვრთნელი აღარაა, რადგან გუნდმა ჩემპიონატში პირველი ადგილი დათმო, ხოლო თასის გათამაშებას მერვედფინალიდან გამოეთიშა. სანამ გია გეგუჩაძეს ახალი სამსახური გამოუჩნდება, „სარბიელის“ კითხვებს პასუხობს...*

**— მაინც რა მოხდა, რამ გამოიწვია „დინამოს“ ჩავარდნა?**

— საგანგაშო არაფერი მომხდარა, დარწმუნებული ვარ, წარუმატებელი სერიის მიუხედავად „დინამო“ საქართველოს ჩემპიონი გახდება.

**— წარუმატებლობის მიზეზი რაღა იყო?**

— რამდენიმე ფაქტორი. მაგალითად, ბევრი ახალი ფეხბურთელი „დინამოს“ 2 თებერვლისთვის შეურთდა, როცა ახალი სეზონისთვის მზადება კარგა ხნის დაწყებული გვქონდა და ეს ფეხბურთელები სათანადოდ არ იყვნენ მზად. თან მათი უმეტესობაც სანაკრებო შეკრებაზე გავუშვით და ამის მერე დაგვიბრუნდნენ.

**— თქვენ კი ამ ყველაფრისთვის მზად არ აღმოჩნდით?**

— შედეგზე პირველ რიგში პასუხისმგებელი მწვრთნელია და ჩემი „დინამოდან“ წამოსვლა ობიექტური გახლდათ.

**— თქვენი ხელმოცარვის რამდენიმე მიზეზს ასახელებენ. იმასაც ამბობენ, რომ ფეხბურთელებს ვარჯიშზე და ავტობუსში მგზავრობისას გალიმების ეშინოდათ, გეგუჩაძემ არ დაგვინახოს, თორემ დაგვსჯისო...**

— ასე არ ყოფილა, ფეხბურთელებთან კვლავაც ნორმალური ურთიერთობა მაქვს და ისინი ახლაც მირეკავენ, მკითხულობენ. თუმც ალბათ განაწყენებულებიც იქნებიან, ყველა სტაბილურად ვერ ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში.

**— საშუასეზონო პერიოდში „დინამომ“ მეტწილად „თბილისიდან“ აიყვანა ფეხბურთელები, მაგრამ ზოგი მალევე წავიდა „დინამოდან“, ზოგსაც სათამაშო პრაქტიკა არ აქვს. მაგალითად, მეკარე ბექა შეყრილაძე სულაც „დინამო 2“-ში გადაიყვანეთ, არადა, ის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო...**

— „დინამო“ ფეხზე უნდა დამდგარიყო, ეს იყო ჩემი მიზანი. „დინამოს“ საქართველოს ჩემპიონობაზე მეტი შეუძლია და საქმე აქეთკენ უნდა წაგვეყვანა. ამიტომაც ავიყვანეთ ბევრი ფეხბურთელი, კადრები ნელ-ნელა უნდა მოგვემზადებინა იმ „დინამოსთვის“, რომელიც ევროსარბიელზეც წარმატებით ითამაშებდა. ასეთ მაგალითს გეტყვით — „ვიტ ჯორჯიას“ მეკარე მამარდაშვილმა ძალიან კარგად ითამაშა „დინამოსთან“, მაგრამ ცოტა ხანში, ევროტურნირზე „ვიტ ჯორჯიამ“ 2:8 წააგო, მამარდაშვილმა რვა გოლი გაუშვა. ან კიდევ ის, რომ „თბილისს“ მართლაც კარგი ახალგაზრდული გუნდი ჰყავდა და ჰყავს, მაგრამ ევროსარბიელზე 0:6-ს აგებს. მე შემეძლო, შეყრილაძე, ქუცურუა და სხვა ახალგაზრდები რეგულარულად დამეყენებინა „დინამოს“ პირველი გუნდის ძირითადში და საქართველოს ჩემპიონი გავმხდარიყავით. მაგრამ მერე 0:6 და 2:8 არ მინდოდა. არ მინდოდა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ასეთი რამ მოსვლოდათ. ამიტომაც „დინამოში“ გამოცდილი ფეხბურთელებიც ავიყვანეთ. ჩვენ რომ ჯამარაული უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გვყოლოდა, 0:4-ს და 2:5-ს არ წავაგებდით. ახალგაზრდები გამოცდილების გვერდით უნდა გაიზარდონ. შეყრილაძეს „დინამო 2“-ში, პირველ ლიგაში ვათამაშებდით, მაგრამ შარშან „დინამო 2“-დან ათი ფეხბურთელი გადავიყვანეთ პირველ გუნდში და მათ უეფას თასის შესარჩევ და პირველ ეტაპებზე ძალიან კარგადაც ითამაშეს, ჯგუფურ ეტაპზე კი ვეღარ, რადგან ახალგაზრდა ფეხბურთელი ფიზიოლოგიურად, ფსიქოლოგიურად ჯერაც ჩამოუყალიბებელია. შარშან „დინამოს“ ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 21,6 წლამდე შევამცირეთ და ისე ვითამაშეთ უეფას თასზე, მაგრამ ახალგაზრდების ჩამოყალიბებას დრო და სხვა კუთხით მუშაობაც სჭირდება.

**— დინამოდან“ გამოცდილი ფეხბურთელებიც წავიდნენ, მაგალითად, დავით კვირკველია. და კიდევ, რატომ ვერ მოხერხდა 19 წლის ჯაბა კანკავას „დინამოში“ დარჩენა, ნუთუ ასეთი შეუძლებელი იყო მისთვის ხელფასის მომატება?**

— გამოცდილი ფეხბურთელების გუნდიდან წასვლას მე ხელს ვერ შევუშლიდი. რაც შეეხება კანკავას, მისი პირადი პრობლემების გათვალისწინებით ჯობდა, რომ „დინამოდან“ წასულიყო, თორემ ჩემი პოზიცია ასეთი იყო — კანკავა „დინამოს“ სჭირდება.

**— „დინამომ“ საშუასეზონო პერიოდში გოგიტა გოგუაც აიყვანა, ვინც ასე კარგად წარმოაჩინა თავი ეროვნულ ნაკრებში, მაგრამ „დინამოში“ ის არ დარჩა — ითქვა, რომ მისი ტრანსფერი მეტწილად თქვენს გამო არ შედგა...**

— გოგუა ზედ მარბელას ტურნირის წინ მოვიდა „დინამოში“, ტურნირის პირველივე მატჩში კი, „სპარტაკთან“ მე-15 წუთზე გაიძევეს, რითაც მან გუნდი დააზარალა. თამაშის შემდეგ მე ის დავიბარე და ვესაუბრე, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი ნათქვამი მან სხვანაირად გაიგო. ფეხბურთი არ არის ბრძოლის ველი, ფეხბურთი თამაშია, ფეხბურთელს ყინი უნდა ჰქონდეს, მაგრამ გააზრებული თამაშიც მოეთხოვება და სწორედ აზრიანად თამაში ვურჩიე გოგუას. ამის მერე გოგუას აღარ შევხვედრივარ, ის სანაკრებო შეკრებაზე წავიდა, იქიდან კი „ხიმკიში“ წასვლა არჩია. გოგუას დიდი პერსპექტივა აქვს, მას დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია.

**— თქვენს პერსპექტივებზე რას გვეტყვით, უკვე გქონდათ შემოთავაზება სხვადასხვა კლუბებიდან?**

— ახლა ჯერ ვისვენებ, მქონდა შემოთავაზებები ქართული კლუბებიდან, მაგრამ უარი ვთქვი. უცხოეთის ვარიანტებიც არის და ალბათ საქართველოში არ დავრჩები. არც სემინარების თუ ლექციების კითხვა მსურს, მწვრთნელი კი მოედანზე უნდა გავიდე.

**— იოჰან ბოსკამპს ესაუბრეთ?**

— ჩემი „დინამოდან“ წასვლის ამბავი მან ერთ-ერთმა პირველმა შეიტყო, დამირეკა და ვისაუბრეთ. ბოსკამპს საფეხბურთო სკოლა კი აქვს, მაგრამ მის სკოლაში ჩემი შესაძლო მუშაობაზე ლაპარაკი არ ყოფილა.

**— უცხოეთში მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობას თანახმა კილებდით?**

— გუნდს გააჩნია. ისე კი, შევეცდები, კვლავ მთავარ მწვრთნელად ვიმუშაო.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი

26 ტური

ანონსი

თბილისი. 2 აპრილი. 16 საათი. მიხეილ მესხი

## ლოკომოტივი — თბილისი

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

ფოთი. 2 აპრილი. 16 საათი. ფაზისი

## კოლხეთი — ბათუმი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

ზესტაფონი. 2 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური

## ზესტაფონი — სიონი

მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. ორდინიძე (ონი); ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი. 2 აპრილი. 16 საათი. ეროვნული

## დინამო — დილა

მსაჯები: გ. ვადაჭკორია (თბილისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

ქუთაისი. 2 აპრილი. 16 საათი. ტორპედო

## ტორპედო — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ლ. სილაგავა (თბილისი); ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

# დღეს: ახალი თავების ტური





„დინამოში" გამწვრთნელებული კახა ცხადაძის „სიონს" ამიერიდან მერაბ კოჭლაშვილი უთავკაცებს

*ამ სამარცხვინო სანაკრებო დღეების მერე ეროვნულ ჩემპიონატზე გადართვა ძალიან ძნელი ჩანს. აბა, როგორ გინდა, ვინმეს უთხრა, არა უშავს, რაც მოხდა, დავივიწყოთ და ახლა სტადიონზე წავიდეთო...*

*თქმით ნაღდად ველარ ვეტყვით, თუმცა საქმე საქმეა და 26-ე ტურისწინა მცირე ანონსი მაინც უნდა შემოგთავაზოთ...*

**დღეს** თბილისში ორი საინტერესო თამაშია — ვაკეში „ლოკომოტივი" და „თბილისი" შეიბმებიან და ვინძლო, ლუის ცაკარიასმა ორი კორეელი ახალწვეულიც ათამაშოს; დიღუბეში კი „დინამო" — „დილაა".

მართალია, დინამოელთა მეტოქე ჩემპიონატის აუტსაიდერია და ამიი მატჩის ინტრიგა ფაქტობრივად არ არსებობს, მაგრამ საინტერესოობაში ეს სულაც არ გვიგულისხმია — „ეროვნულზე" უფრო კახა ცხადაძის დებიუტი იქნება საყურადღებო.

ნაკლებ ამბებს არც ქუთაისში ველით — სამგზის ჩემპიონი „ტორპედო" მოქმედ ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას" წინააღმდეგ. ვისი აჯობებს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ბრძოლა რომ უშეღავათო იქნება, ფაქტია. მით უმეტეს, ამ გუნდების შეხვედრა ყოველთვის გამოირჩევა და თან „ვიტ ჯორჯიას" ქუთაისში თამაში არ ესწავლება — იმერეთიდან ქულები არაერთხელ წაუღია.

ვეტერანართა გამჩემპიონებელ მერაბ კოჭლაშვილს კი ახალი საქმე აქვს — ბოლნისის „სიონი" უმაღლეს ლიგაში უნდა დატოვოს და, საამისოდ „ზესტაფონთან" მატჩი პირველი ნაბიჯი იქნებაო, ირწმუნებიან ქვემოქართლელები. ზესტაფონელებთან არაერთს წაუტეხია კისერი, თუმც რა მოხდება დღეს, ვეჭვობთ, ვინმემ გამოიცნოს.

ფოთი კი ზღვისპირულ დერბის მასპინძლობს: „კოლხეთ" — „ბათუმს" ის პეწი აღარ აქვს, წლების წინ რომ ჰქონდა, მაგრამ. ფოთელებს ერთი შანსიც აქვთ, ლიგაში დასარჩენად საჭირო ქულები აიღონ და თუ ასე არ მოხდა, მერე ალბათ სასწაული თუ უშველით.

**კახა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 25 | 15 | 5 | 5 | 46:26 | 50 |
| დინამო | 25 | 15 | 4 | 6 | 47:23 | 49 |
| ტორპედო | 25 | 13 | 8 | 4 | 39:20 | 47 |
| ლოკომოტივი | 25 | 10 | 11 | 4 | 32:19 | 41 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 10 | 8 | 7 | 37:28 | 38 |
| ზესტაფონი | 25 | 11 | 3 | 11 | 25:38 | 36 |
| ბათუმი | 25 | 6 | 10 | 9 | 26:22 | 28 |
| კოლხეთი | 25 | 7 | 5 | 13 | 25:34 | 26 |
| სიონი | 25 | 6 | 3 | 16 | 21:49 | 21 |
| დილა | 25 | 2 | 3 | 20 | 16:55 | 9 |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა 16

მეორე წრე

20 ტური

# წვიმამ გოლები ვერ შეაჩერა

## ამინდმაც შეუზნერა და ამერმაც

**კოტე კეკელია**

**გუშინ** გლდანშიც ისეთივე ავდარი იყო, როგორიც მთელ თბილისში და ვინძლო, მთელ საქართველოშიც. წვიმამ „ამერის" სკოლის სტადიონის ტრიბუნასაც დაატყო კვალი, სადაც, ტრადიციის საპირისპიროდ, ალაგ-ალაგ ცარიელი ადგილები შეინიშნებოდა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ავდარმა მოედანზეც იმოქმედა, რომელზეც ბურთის გაგორება ჭირდა და ფეხბურთელებს მალიმალ აღალატებდა. ასეთ პირობებში კი, წესით და რიგით, თავდამსხმელებს უფრო უნდა გასჭირვებოდათ თამაში, ვიდრე მცველებს.

პირიქით კი მოხდა — ორასიოდე მაყურებელმა ექვსი გოლი ნახა, ტრადიციული „ეს კი ასე უბერავს" ოთხჯერ მოისმინა, რაც ნიშნავს, რომ ოთხი გოლი „ამერმა" გაიტანა, ორი კი „ივერიამ".

თამაში ამერელი გიზო ჯელაძის სახიფათო მომენტით დაიწყო და მალევე, მე-11 წუთზე პირველი გოლიც გავიდა. სულიკო დავითაშვილმა მარცხენა ფლანგზე ორი მცველი ჩამოიშორა, მეკარესაც გასცდა და მახვილი კუთხიდან დაარტყა. აქვე მესამე გოლზეც ვთქვათ, რაკი მისი შემოქმედიც დავითაშვილი იყო, ოღონდ დავით სევასტოპულოც უნდა ვახსენოთ — სევასტოპულომ თანაგუნდელს თავზე ისე გამოზომილად ჩააწოდა, რომ ტანდაბალ დავითაშვილს ახტომაც არ დასჭირვებია. დავძინოთ, რომ ამ დუბლით დავითაშვილმა თავისი საპირველლიგო მონაგარი 17 გოლამდე შეავსო და ლიგის საუკეთესო ბომბარდირობას კვლავაც არავის ანებებს.

ამ გოლებს შორის კი ალექსანდრე კაიდარაშვილმა შეაგდო გიზო ჯელაძის პასით, მერე კი ორი საგოლე პასის ავტორმა სევასტოპულომაც გაიტანა.

ამ დროისთვის თამაშის დაწყებიდან მხოლოდ 32 წუთი იყო გასული, თუმცა, შეიძლება ითქვას, მასპინძლებს საქმე მოთავებული ჰქონდათ.

ხაშურელებმა ერთი ბურთი პირველ ტაიმშივე გაქვითეს. საჯარიმო მოედნის წინ მყოფმა თემურ გელაშვილმა თავისუფალი დერეფანი შენიშნა და ზუსტადაც დაარტყა. ამის მერე ისევ დავითაშვილს ჰქონდა ხელსაყრელი შანსი, სტუმართა მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბურთი ძალიან წინ გაიგდო და ბორის დერევიანჩენკომაც სახიფათო მომენტი იოლად განმუხტა.

დასამახსოვრებელი ეპიზოდები მეორე ტაიმშიც იყო. ორჯერ სტანდარტული სიტუაციების გათამაშებისას მცველ გიორგი დავითნიძეს არ გაუმართლა, მის თავურებს სიზუსტე დააკლდა. ამაზე უკეთესი მომენტი სევასტოპულოს ჰქონდა — გიზო ჯელაძის კარის გასწვრივ ჩაწოდებულზე ფეხი უხეიროდ მიარტყა, არადა, გოლი გარდაუვალი ჩანდა. გიზო ჯელაძის ჯარიმიდან დარტყმული მცველებმა გამოიტანეს ზედ კარის ხაზიდან, ხოლო შეცვლაზე შესულ რატი წინამძღვრიშვილის დარტყმული დერევიანჩენკოს ხელიდან ხარიხას შოხვდა.

სტუმრებს მეორე ტაიმში ნაკლები მომენტი ჰქონდათ, თუმცა გოლი მაინც გაიტანეს. კურიოზული გოლი გამოვიდა — დავით ინასარიძის შორიდან დარტყმული სუსტი ბურთი რუკაზ ნაჭყეპიამ ხელში ვერ შეიმაგრა და რაღაც უცნაურად გაუქვრა.

თბილისი. 1 აპრილი. 16 საათი. ფკ ამერის სკოლა. 200 მაყურებელი

### ამერი 4:2 ივერია

1:0 დავითაშვილი (11), 2:0 კაიდარაშვილი (22), 3:0 დავითაშვილი (30), 4:0 სევასტოპულო (32), 4:1 გელაშვილი (40), 4:2 ინასარიძე (67)

ამერი: ნაჭყეპია, დავითნიძე, ხვადაგიანი (კედელაშვილი 67), ბერიანიძე, ზ. ჯელაძე, გ. ჩხეტიანი (სილაგავა 64), გ. ჯელაძე, დეკანოსიძე, კაიდარაშვილი, სევასტოპულო, დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 80)

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

ივერია: დერევიანჩენკო, ლომიძე, მელაძე, ბლიაძე (ტალახაძე 46), ინასარიძე, გოგალაძე, მეტრეველი, გელაშვილი, ოსაძე, ლაშაბიძე (ჭკუასელიძე 46), ჯოგლიძე

მწვრთნელი: მევლუდ ლომიძე

გაფრთხილება: ლაშაბიძე (24), მელაძე (62)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი)



ხაშურელებთან ორგოლიანი სულიკო დავითაშვილი ლიგის ბომბარდირებშიც პირველია

**გურია 2:0 საგარეჯო**

**კახეთი 3:1 ლოკომოტივი 2**

**ცხინვალი 1:0 დინამო 2**

**ოლიმპი 0:1 სპარტაკი**

**მერანი 1:1 მალაროელი**

**რუსთავი 3:2 ვიტ ჯორჯია**

დღეს გაიმართება

**ბორჯომი — ჩიხურა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 19 | 16 | 1 | 2 | 52:21 | 49 |
| ამერი | 20 | 15 | 1 | 4 | 58:11 | 46 |
| სპარტაკი | 20 | 13 | 6 | 1 | 36:17 | 45 |
| ვიტ ჯორჯია | 20 | 12 | 4 | 4 | 32:14 | 40 |
| კახეთი | 20 | 12 | 3 | 5 | 34:24 | 39 |
| ცხინვალი | 20 | 10 | 3 | 7 | 26:23 | 33 |
| დინამო 2 | 20 | 9 | 1 | 10 | 44:33 | 28 |
| გურია | 20 | 8 | 4 | 8 | 22:28 | 28 |
| ჩიხურა | 19 | 6 | 5 | 8 | 19:23 | 23 |
| ივერია | 20 | 6 | 5 | 9 | 19:30 | 23 |
| ლოკომოტივი 2 | 20 | 6 | 4 | 10 | 25:33 | 22 |
| რუსთავი | 20 | 6 | 3 | 11 | 25:34 | 21 |
| მერანი | 20 | 5 | 3 | 12 | 24:36 | 18 |
| ოლიმპი | 20 | 4 | 4 | 12 | 19:34 | 16 |
| საგარეჯო | 20 | 3 | 5 | 12 | 17:44 | 14 |
| მალაროელი | 20 | 0 | 4 | 16 | 10:57 | 4 |

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ფიორენტინა | : | იუვენტუსი |
| ლაციო | : | ლივორნო |
| ბოლონია | : | ინტერი |
| მილანი | : | ბრეშა |
| **ხვალ** | | |
| ატალანტა | : | კიევო |
| პალერმო | : | მესინა |
| რეჯინა | : | პარმა |
| უდინეზე | : | რომა |
| კალიარი | : | სამპდორია |
| ლეჩე | : | სიენა |

**საჯლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 29 | 20 | 6 | 3 | 49:17 | 66 |
| იუვენტუსი | 29 | 20 | 6 | 3 | 47:16 | 66 |
| ინტერი | 29 | 11 | 17 | 1 | 53:35 | 50 |
| უდინეზე | 29 | 14 | 6 | 9 | 43:29 | 48 |
| სამპდორია | 29 | 14 | 5 | 10 | 32:23 | 47 |
| პალერმო | 29 | 11 | 11 | 7 | 34:29 | 44 |
| ბოლონია | 29 | 9 | 11 | 9 | 28:26 | 38 |
| რომა | 29 | 10 | 8 | 11 | 46:45 | 38 |
| კალიარი | 29 | 10 | 8 | 11 | 44:48 | 38 |
| ლეჩე | 29 | 9 | 9 | 11 | 49:51 | 36 |
| ლივორნო | 29 | 9 | 9 | 11 | 34:40 | 36 |
| მესინა | 29 | 9 | 9 | 11 | 32:40 | 36 |
| რეჯინა | 29 | 9 | 8 | 12 | 28:34 | 35 |
| ლაციო | 29 | 9 | 7 | 13 | 35:39 | 34 |
| ფიორენტინა | 29 | 7 | 10 | 12 | 31:40 | 31 |
| კიევო | 29 | 8 | 7 | 14 | 24:40 | 31 |
| პარმა | 29 | 7 | 9 | 13 | 33:48 | 30 |
| სიენა | 29 | 5 | 14 | 10 | 28:42 | 29 |
| ბრეშა | 29 | 7 | 5 | 17 | 24:40 | 26 |
| ატალანტა | 29 | 5 | 9 | 15 | 26:38 | 24 |

# იტალია

ვაჟენე კედია

## ვის ეზიზღება იუვენტუსი?




დინო ძოფის და ფაბიო კაპელოს გუნდები დღეს ერთმანეთს დაჭამენ

**დამთავრდა** სანაკრებო ორომტრიალი და საფეხბურთო იტალია სკუდეტოსთვის ბრძოლას უბრუნდება — ჩემპიონი „მილანი" „ბრეშას" მასპინძლობს. შეგახსენებთ, „შავ-წითლებმა" ბოლო რვა თამაში მოიგეს, ხოლო ბრეშელებმა ბოლო თორმეტი შეხვედრიდან მხოლოდ ორში შეძლეს მეტოქის დამარცხება. სხვა საქმეა, რომ მიმდინარე სეზონის პირველ დაპირისპირებაში „ბრეშამ" „მილანს" შინ 0:0 გაუხერხა.

მილანელთა დაცვაში არ იქნება დისკვალიფიცირებული იაპ სტამი, რომლის ადგილსაც ვეტერანი ალესანდრო კოსტაკურტა დაიკავებს. არ იქნება აგრეთვე დაშავებული ალესანდრო ნესტა, კახა კალაძე კი, ალბათ, ითამაშებს.

კიდევ, „მილანის" ფეხბურთელებიდან დისკვალიფიცირებულია ბრაზილიელი კაკაც, დანიელი იონ დალ ტომასონი და არგენტინელი ერნან კრესპო კი თავდასხმაში, ჩვენს ხელთ, ამწუთას არსებული ინფორმაციით, აუცილებლად ითამაშებენ. სავარაუდოდ, საფეხბურთო მოედანს მატჩის რომელიმე ეტაპზე დაუბრუნდება მილანელების მთავარი ვარსკვლავი ანდრეი შევჩენკოც.

და, რა ხდება ამ დროს „მილანის" მდევრისა და კონკურენტის, იტალიის ოცდაშვიდგზის ჩემპიონის ტურინის „იუვენტუსის" თავს? დღეს, „ბებერი ქალბატონი" თამაშობს იმ ქალაქში, სადაც იგი, არც მეტი, არც ნაკლები, ეზიზღებათ. ეს ქალაქი ფლორენციაა, ხოლო გუნდი, რომელთანაც „იუვე" თამაშობს, შესაბამისად, „ფიორენტინა" გახლავთ. მეორეს მხრივ, ბოლო წლების სტატისტიკა მეტყველებს, რომ „ძველს" შინ „იუვენტუსის" დამარცხება უჭირს. უკიდურესად, 1998 წლის შემდეგ „ბებერ ქალბატონს" „არტემიო ფრანკიზე" თამაში არ წაუგია.

გარდა ამისა, „იუვეს" სტიმული გახლავთ ისიც, რომ „მილანმა" ნაახალწლევს, რვაქულიანი უპირატესობის გაბათილება გაუბედა და შეუძლებელია, ეს ამბავი პრაქტიკულის გარდა ფსიქოლოგიური, ასე ვთქვათ, თავმოყვარეობის კუთხითაც არ აწუხებდეს.

რაც შეეხება „ფიორენტინას", იგი გასავარდნთა ზონას მხოლოდ ორი ქულით უსწრებს და მის მწვრთნელს, „იუვენტუსის" ლეგენდას, დინო ძოფს, ამ თამაშის მოგების სურვილი სტუმრებზე არანაკლებად აქვს.

„ბებერ ქალბატონს" არ ეყოლება ურუგვაელი რუბენ ოლივერა, რომელიც „კიევოსთან" გაძევების შემდეგ დისკვალიფიცირებულია და არ იქნება აგრეთვე კუნთდაჭიმული ოლივიე კაპო. შეგახსენებთ, რომ „იუვემ" ბოლო ექვსი თამაშიდან ხუთი მოიგო, ხოლო ბოლო ხუთი მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა.

და კიდევ, თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე კიდევ ერთ იტალიურ გუნდზე, „ინტერზე", რომელიც ბოლონიაში თამაშობს. შეგახსენებთ, რომ „შავ-ლურჯებს" მიმდინარე სეზონში სტუმრად თამაში არ წაუგიათ, მაგრამ ვინმემ მეტაფორულად რომ გვითხრას, არც მოუგიათო, ვერ შევეწინააღმდეგებით — ათი ფრე აქვს ნათამაშევი. ამ შეხვედრაში მილანელებს არ ეყოლებათ ადრიანო, ალვარო რეკობა და დეიან სტანკოვიჩი. შესაბამისად, ბოლონიელთა კარს შეუტევენ ობაფემი მარტინსი და ხულიო რიკარდო კრუზი.

# ინგლისი

გიორგი კაკაბაძე

## საიუბილეო ტური

### ბებერი ტრეფორდი და ენფილდი

**პრემიერლიგის** ამ ტურში განსაკუთრებულად ვერც ერთ შეხვედრას ვერ გამოვარჩევთ. თითქმის ყველა ლიდერი დღეს თამაშობს, მხოლოდ მეოთხეადგილოსანი „ევერტონი" იბურთავებს კვირას — ლივერპულელები გავარდნის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატს სტუმრობენ და ვინძლო, სურვილისა და სატურნირო მდგომარეობის მიუხედავად, გამარჯვება ძალიან გაუჭირდეთ. ეს „ვესტ ბრომვიჩის" უკანასკნელი შანსი იქნება და მასპინძლები ყველანაირად შეეცდებიან, ელიტარულ ლიგას ჩაებღაუჭონ.

ვათამაშების ერთპიროვნული ლიდერი, ლონდონის „ჩელსი", საუთჰემპტონს" სტუმრობს. ჟოზე მაურინიუს მხოლოდ არიენ რობენი არ ეყოლება, ხოლო მასპინძლები სულაც უდანაკარგოდ არიან. „ჩელსის" წინ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი ელის და ალბათ შეეცდება, ძალები დაზოგოს. „წმინდანებს" კი შედარებით დიდი მოტივაცია აქვთ, პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან.

მეორე ლონდონური გრანდი, „არსენალი", ბოლოადგილოსან „ნორვიჩს" მიიღებს. მასპინძლებს საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ — ტიერი ანრისა და სოლ კემპბელის მინდორზე გასვლა სათუოა. ვერ ითამაშებენ დენის ბერხკამპი და ედუ. სამაგიეროდ, ზურგის ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა ბრაზილიელი ჟილბერტო სილვა, ხოლო რობერ პირესმა გრიპი მოირჩინა.

საინტერესოა, რომ ინგლისის ორი საუკეთესო კლუბი, „ლივერპული" და „მანჩესტერ იუნაიტედი" — პრემიერლიგაში თავიანთ 250-ე საშინაო მატჩებს გამართავენ.

„წითელი ეშმაკები" საიუბილეო განწყობის გამძლავრებას „ბლექბერნთან" შეხვედრაში შეეცდებიან. წინასწარი ინფორმაციით, ორივე გუნდი უდანაკარგოდაა.

მერსისაიდელებს კი გაცილებით ძლიერი მეტოქე ჰყავთ. „ენფილდს" სემ ალარდაისის „ბოლტონი" სტუმრობს. ეს გუნდები ცხრილში ერთმანეთის მეზობლები არიან და ორივე მათგანი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. ამიტომ მატჩს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

მასპინძლებს კვლავ პრობლემები აწუხებთ: ლუის გარსია, ჯიმი ტრაორე და სტივენ ჯერარდი ტრავმებს იშუშებენ. ექიმების თქმით, წესით ამ ფეხბურთელებმა, მწყობრში ჩადგომა უნდა მოასწრონ. დაშავებულია დიტმარ ჰამანი, ხოლო მილან ბაროშს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. სამაგიეროდ, ფერნანდო მორიენტესი გამოჯანმრთელდა.

„ბოლტონი" კი სენეგალელ ელ-ჰაჯი დიუფს მოისაკლისებს, რომელსაც ასევე სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს.

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არსენალი | : | ნორვიჩი |
| ბირმინგემი | : | ტოტენჰემი |
| ჩარლტონი | : | სიტი |
| კრ. პალასი | : | მიდლსბრო |
| ლივერპული | : | ბოლტონი |
| მანჩესტერი | : | ბლექბერნი |
| ნიუკასლი | : | ასტონ ვილა |
| საუთჰემპტონი | : | ჩელსი |
| **ხვალ** | | |
| ფულემი | : | პორტსმუთი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ევერტონი |

**საჯლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 30 | 24 | 5 | 1 | 58:10 | 77 |
| მანჩესტერი | 30 | 19 | 9 | 2 | 48:17 | 66 |
| არსენალი | 30 | 19 | 7 | 4 | 68:32 | 64 |
| ევერტონი | 30 | 15 | 6 | 9 | 35:32 | 51 |
| ლივერპული | 30 | 14 | 5 | 11 | 43:31 | 47 |
| ბოლტონი | 30 | 13 | 7 | 10 | 38:34 | 46 |
| ჩარლტონი | 30 | 12 | 7 | 11 | 35:42 | 43 |
| ტოტენჰემი | 30 | 12 | 6 | 12 | 37:34 | 42 |
| მიდლსბრო | 30 | 11 | 9 | 10 | 44:42 | 42 |
| ნიუკასლი | 29 | 9 | 11 | 9 | 41:45 | 38 |
| ასტონ ვილა | 30 | 10 | 8 | 12 | 34:39 | 38 |
| სიტი | 30 | 9 | 9 | 12 | 35:34 | 36 |
| ბირმინგემი | 30 | 9 | 8 | 13 | 33:37 | 35 |
| ბლექბერნი | 30 | 7 | 11 | 12 | 25:37 | 32 |
| პორტსმუთი | 30 | 8 | 7 | 15 | 32:46 | 31 |
| ფულემი | 29 | 8 | 6 | 15 | 33:47 | 30 |
| საუთჰემპტონი | 30 | 5 | 12 | 13 | 33:45 | 27 |
| კრ. პალასი | 30 | 6 | 8 | 16 | 33:49 | 26 |
| ვესტ ბრომვიჩი | 30 | 4 | 12 | 14 | 29:51 | 24 |
| ნორვიჩი | 30 | 3 | 11 | 16 | 29:59 | 20 |




„მანჩესტერ იუნაიტედი" 250-ე საშინაო პრემიერლიგურ მატჩს გამართავს

## გერმანია

ვაჟა ხეციშვილი

# დევიდ ბექემი ბაიერნშია

## ჩვეულებრივი, გუშინდელი ამბავი

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჰანზა | : | მაინცი |
| ვოლფსბურგი | : | ბაიერნი |
| ლაუტერნი | : | ჰანოვერი |
| არმინია | : | ლევერკუზენი |
| ფრაიბურგი | : | ჰამბურგი |
| ვერდერი | : | შტუტგარტი |
| შალკე | : | ნიურნბერგი |
| **ხვალ** | | |
| გლადბახი | : | ბოხუმი |
| დორტმუნდი | : | ჰერტა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 26 | 16 | 5 | 5 | 49:25 | 53 |
| შალკე | 26 | 17 | 2 | 7 | 41:29 | 53 |
| შტუტგარტი | 26 | 14 | 6 | 6 | 46:30 | 48 |
| ვერდერი | 26 | 14 | 5 | 7 | 55:28 | 47 |
| ჰერტა | 26 | 11 | 11 | 4 | 46:24 | 44 |
| ლევერკუზენი | 26 | 12 | 7 | 7 | 47:34 | 43 |
| ჰამბურგი | 26 | 14 | 1 | 11 | 47:42 | 43 |
| ვოლფსბურგი | 26 | 12 | 1 | 13 | 41:41 | 37 |
| ლაუტერნი | 26 | 10 | 6 | 10 | 33:34 | 36 |
| ჰანოვერი | 26 | 10 | 5 | 11 | 29:30 | 35 |
| დორტმუნდი | 26 | 9 | 8 | 9 | 32:36 | 35 |
| არმინია | 26 | 9 | 5 | 12 | 30:37 | 32 |
| მაინცი | 26 | 8 | 6 | 12 | 34:41 | 30 |
| ნიურნბერგი | 26 | 7 | 7 | 12 | 44:49 | 28 |
| გლადბახი | 26 | 7 | 7 | 12 | 28:41 | 28 |
| ბოხუმი | 26 | 5 | 7 | 14 | 35:54 | 22 |
| ჰანზა | 26 | 4 | 8 | 14 | 23:51 | 20 |
| ფრაიბურგი | 26 | 3 | 7 | 16 | 20:54 | 16 |

**ბუნდესლიგის** მორიგი ტურის ანონსს იმით დავიწყებთ, რომ დევიდ ბექემმა მიუნხენის „ბაიერნთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გერმანულმა კლუბმა ინგლისელის სანაცვლოდ 35 მილიონი ევრო გადაიხადა, რაც „ბაიერნის" ისტორიაში სარეკორდო თანხაა. ბექემმა ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ მადრიდში პაპარაცებმა შეაწუხეს და თან გუშინ პირველი აპრილი იყო. ასეთი სახუმარო ამბავი მიუნხენის „ბაიერნის" ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

ასეა თუ ისე, ფელიქს მაგათის გუნდს საქმე სახუმროდ არ უნდა ჰქონდეს, რადგან დღეს „ვოლფსბურგს" სტუმრად ხვდება, ბუნდესლიგის დასრულებამდე კი რვა ტური დარჩა და ჩემპიონობისთვის ბრძოლა უფრო გაცხარდება.

აღსანიშნავია, რომ „ვოლფსბურგისა" და „ბაიერნის" ბოლო თხუთმეტ შეხვედრაში „მგლებმა" მხოლოდ ერთხელ, 2003 წელს შინ იმარჯვეს, დანარჩენ მატჩებში ორჯერ ფრე გაახერხეს, თორმეტი კი წააგეს. ეს ფაქტი „ბაიერნის" სასარგებლოდ მეტყველებს, თუმც არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ფელიქს მაგათის გუნდს მომავალ ოთხშაბათს სტუმრად ლონდონში, „ჩელსისთან" ბრძოლა ელის და ვოლფსბურგში მეტოქეს თავს სავარაუდოდ არ შეაკლავს. მიუნხენელები ვოლფსბურგს როი მაკაით ეწვევიან, სათადარიგოებში კი კუფური, შოლი, ზე რობერტო, იერემისი, ჰარგრივსი, ლინკე და დაისლერი იქნებიან. ვოლფსბურგელებს ტრავმირებული ჰყავთ მარიან ხრისტოვი, დიეგო კლიმოვიჩი და ფაკუნდო კიროგა.

„ბაიერნის" მდევარი და ჩემპიონობის მეორე ფავორიტი გელზენკირხენის „შალკე" კი შინ „ნიურნბერგს" მასპინძლობს, რომელსაც ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი, სლოვაკი მარეკ მონტალი „ამშვენებს". მასპინძელთა ფორვარდები — ასამოა, სანდი და აილტონი ჯანზე არიან, სტუმრებს კი დისკვალიფიცირებული ბანოვიჩი დააკლდებათ.

ბრემენში მესამე ადგილისთვის ბრძოლა გაიმართება, ეს ადგილი კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამსვლელ საგზურს იძლევა. ამიტომ „ვერდერისა" და „შტუტგარტის" მატჩი მეტად საინტერესო უნდა გამოდგეს.

მასპინძლები ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა ტრავმებს არ უჩივიან, ხოლო სტუმრებს დისკვალიფიცირებული ანდრეას ჰინკელი და დაშავებული ფერნანდუ მეირა არ ეყოლებათ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ „შტუტგარტს" ზედიზედ ბოლო ხუთ ტურში თამაში არ წაუგია.

„ფრაიბურგი" დაუხვდება გუნდს, რომელიც სტუმრად გატანილი გოლების მიხედვით ბუნდესლიგაში მეოთხე ადგილზეა. ფოლკერ ფინკეს თომას დოლის „ჰამბურგთან" ჭიდილი მოუწევს და მასპინძლებმა თუ მოიგეს, ეგებ უძლიერესთა შორის დარჩენის შანსი გაიცოცხლონ — ოთარ ხიზანეიშვილი, აბდერ რამდანე და საშა რიტერი ტრავმირებულნი არიან, ხოლო ზლატან ბაირამოვიჩი ხუთი ყვითელი ბარათის გამო ამ შეხვედრას გამოტოვებს.



რომ არა საპირველაპრილო ხუმრობა, დევიდ ბექემს მიუნხენში ყვავილებს ნამდვილად მიართმევდნენ

## ესპანეთი

ლადო ხოშარია



ფრანკ რაიკარდი ლუდოვიკ ჟიულის და შეგირდებს აგულიანებს — ჩემპიონობას ვუახლოვდებით

# რეალი ნადდად ძლიერია

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სოსიედადი | : | ოსასუნა |
| ვილიარეალი | : | ბილბაო |
| სარაგოსა | : | ვალენსია |
| **ხვალ** | | |
| ბარსელონა | : | ბეტისი |
| ლევანტე | : | დეპორტივო |
| რასინგი | : | ესპანიოლი |
| ალბასეტე | : | რეალი |
| მალაგა | : | ხეტაფე |
| ატლეტიკო | : | მალიორკა |
| სევილია | : | ნუმანსია |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 29 | 21 | 5 | 3 | 54:18 | 68 |
| რეალი | 29 | 18 | 3 | 8 | 49:25 | 57 |
| ბეტისი | 29 | 13 | 9 | 7 | 47:37 | 48 |
| ვილიარეალი | 28 | 13 | 8 | 7 | 48:26 | 47 |
| ვალენსია | 29 | 12 | 10 | 7 | 44:30 | 46 |
| ესპანიოლი | 29 | 13 | 7 | 9 | 37:35 | 46 |
| სევილია | 29 | 13 | 7 | 9 | 33:33 | 46 |
| ატლეტიკო | 29 | 12 | 7 | 10 | 32:25 | 43 |
| დეპორტივო | 29 | 10 | 12 | 7 | 38:36 | 42 |
| ბილბაო | 29 | 11 | 8 | 10 | 46:39 | 41 |
| სარაგოსა | 29 | 11 | 6 | 12 | 33:40 | 39 |
| სოსიედადი | 29 | 10 | 6 | 13 | 38:42 | 36 |
| ხეტაფე | 29 | 9 | 8 | 12 | 30:35 | 35 |
| ლევანტე | 29 | 9 | 7 | 13 | 34:43 | 34 |
| რასინგი | 29 | 9 | 7 | 13 | 32:42 | 34 |
| მალაგა | 29 | 10 | 4 | 15 | 27:37 | 34 |
| ოსასუნა | 28 | 8 | 7 | 13 | 36:51 | 31 |
| ალბასეტე | 29 | 5 | 9 | 15 | 26:43 | 24 |
| მალიორკა | 29 | 6 | 6 | 17 | 28:49 | 24 |
| ნუმანსია | 29 | 4 | 8 | 17 | 21:47 | 20 |

**ხვალ** ფრანკ რაიკარდის „ბარსელონა" სევილიურ „ბეტისს" უმასპინძლებს. რა თქმა უნდა, პრიმერადივიზიონის ლიდერი საკუთარი ძალების დემონსტრირებას ეცდება, თუმცა არც ლორენს სერა ფერერის გუნდია ბეჩავი და თქმა არ უნდა, „კამპ ნოუზე" უშეღავათო ბრძოლის მომსწრე გავხდებით.

„ბარსელონას" დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს — ვერ ითამაშებს დისკვალიფიცირებული რაფაელ მარკესი და ტრავმირებული კარლეს პუიოლიც მხოლოდ ტრიბუნაზე იქნება.

„რთულ მდგომარეობაში მართლაც ვართ, ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ბეტისთან" მოსაგებად არ ვითამაშებთ. „ბარსა" წლეულს ჩინებულ ფორმაშია და ჩვენს მიზანს ანუ 2004-05-ის პრიმერას ჩემპიონობას ნელ-ნელა ვუახლოვდებით" — აღნიშნა რაიკარდმა „მარკასთან" საუბარში.

კატალონიელთა მწვრთნელს პესიმიზმის ნატამალიც არ ეტყობა, თუმც „ბეტისის" სტუმრობა ხუმრობა როდია. [illegible] ლები საჩემპიონთალიგო, მესამე ადგილზე არიან და თავს არ დაზოგავენ, ცხრილში მომგებიანი პოზიციის შესანარჩუნებლად წინა ტურში, „ბეტისმა" შინ „ალბასეტეს" 2:1 მოუგო, თუმც შედარებით მწირი ანგარიშის მიუხედავად, ის ომი არათანაბარი იყო და ესპანური მედიაც გუნდის პოტენციალს სერიოზულად ჩაუფიქრდა.

„კატალონიელებს ამ სეზონის ერთ-ერთი ურთულესი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ. „ბარსას" უკანა ხაზი შესუსტებულია, „ბეტისი" კი უძლიერესი შემადგენლობით თამაშებს" — ვკითხულობთ გუშინდელ მადრიდულ „ასში".

ქვეყნის ჩემპიონი, „ვალენსია" „სარაგოსას" ესტუმრება. „შანსები მცირეა, თუმცა „ვალენსიასთან" მაინც თავდაუზოგავად ვითამაშებთ" — განაცხადა ვიქტორ მუნიოსმა, „სარაგოსას" ლამრიგებელმა.

„ვალენსიას" მეომრები — [illegible] აიმარი და ესპანელი დავიდ ნავარო ტრავმირებულები არიან.

„ელ მადრიგალზე" კი ერთობ საინტერესო მატჩია — იქაური „ვილიარეალი" ბასკურ „ბილბაოს" მიიღებს. სტუმრებს [illegible] კარანკა და ტიკო დააკლდებიან [illegible] ტრავმირებულია, ხოლო მეორეს ხუთი ყვითლები დაუგროვდა.

ხავიერ აგირეს „ოსასუნას", მეორე ბასკურ გუნდ „სოსიედადთან" დაშავებული ხამეული, უნაი, მოა და როსადო არ [illegible] დამხვდურ ბასკებს ტრავმირებულები არ ჰყავთ და შესაბამისად, მათ მწვრთნელ ამოროორტუს მხოლოდ ერთი პრობლემა აწუხებს — დაცვის ცენტრში ბრუმე დააყენოს თუ ლუის ალბერტო...

მადრიდის „რეალი" მეთვრამეტე ადგილზე მყოფ „ალბასეტეს" ესტუმრება. კასტილიურ გრანდს, რომელსაც ბოლო ხანებში იღბალი აშკარად არ სწყალობს, „კარლოს ბელმონტეზე" თამაში დისკვალიფიცირებული ზინედინ ზიდანის გარეშე მოუწევს. „ალბასეტე" კი მეტად მძიმე მდგომარეობაშია ... მარტინ მონტეაგუდოს ბიჭები წინა ტურში „ბეტისთან" დაიჩაგრნენ და ვინძლო განსაკუთრებული წინააღმდეგობა გაუწიონ ... „რეალს" გაუწიონ...

„ლიგიდან გავარდნას არ ვიმსახურებთ. ჩემი გუნდი წლეულს ასეა თუ ისე, ნაღდად იბრძოდა. „რეალი" ძალიან ძლიერია. მაგრამ დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, ხანქულის წაღება ნამდვილად გაუჭირდება" — ამბობს მასპინძელთა თავკაცი, ვინაც მხოლოზე ახლახან ნაოპერაციებ რუბენ კასტროს მოისაკლისებს.

# მეფის დაბრუნება

## ზიზუ! ზიზუ! — ისევ იგუგუნებს ხალხი



საფრანგეთის ნაკრების ბოლოდროინდელი თამაში რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ფაქტია.

მას შემდეგ, რაც გუნდი ზინედინ ზიდანმა დატოვა, „მამლები" ძალიან არეულად და არაორგანიზებულად ბურთობენ.

რაიმონ დომენეკის გუნდი უკვე 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩენის რეალური საფრთხის წინაშეა და აი, ფრანგული ფეხბურთის მამები და თავად ზიდანი მისი ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებაზე ალაპარაკდნენ...

„ბოლო პერიოდში დაბრუნებაზე ვფიქრობ და ვინ იცის, ეგებ ასეც მოხდეს. ალბათ, რამდენიმე მატჩს კიდევ ჩავატარებ ნაკრების მაისურით. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, მაგრამ ირლანდიასთან თამაში მართლაც მინდა. დუბლინში, სავარაუდოდ სტადიონი გაივსება. ჩემი აზრით, ძალიან ლამაზი იქნება, ითამაშო 50 ათასი ფანის წინაშე, გაიმარჯვო და წახვიდე" — თქვა ზიდანმა.

„მამლების" თავკაცის, რაიმონ დომენეკის მოკლე კომენტარი კი ასეთი იყო: „იგი კვლავ ერთ-ერთი საუკეთესოა და თუ დაბრუნებას ისურვებს, სიამოვნებით გამოვიძახებ. ზიდანისთვის საფრანგეთის ნაკრების კარი ყოველთვის ღიაა".

ბოლოს შეგახსენებთ, რომ საფრანგეთი დუბლინს 7 სექტემბერს სტუმრობს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# შირა დარჩება

## შენ გაიხარე, ალან, ისე, როგორც ჩვენ გაგვახარე

**ეს მოსალოდნელიც** იყო: ასე უცბად, ალან შირერი ფეხბურთის ნაღდად ვერ შეელეოდა.

| 10002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 2.8 | 2.0 | 3.2 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10003 | არსენალი-ნორვიჩი | 1.3 | 3.0 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.18 |
| 10005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 2.8 | 2.0 | 3.2 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10006 | ლივერპული-ბოლტონი | 2.1 | 2.0 | 4.4 | 1.02 | 1.42 | 1.37 |
| 10007 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.5 | 2.6 | 7.0 | 1.0 | 1.23 | 1.89 |
| 10009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.1 | 2.0 | 4.4 | 1.02 | 1.42 | 1.37 |
| 10010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 5.3 | 2.2 | 1.8 | 1.55 | 1.34 | 1.0 |
| 10012 | ფულემი-პორტსმუთი | 2.4 | 2.0 | 4.2 | 1.09 | 1.52 | 1.35 |
| 10013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 3.45 | 2.0 | 2.75 | 1.26 | 1.53 | 1.15 |
| 10117 | არმინია-ლევერკუზენი | 3.5 | 2.0 | 2.6 | 1.27 | 1.49 | 1.13 |
| 10118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 4.65 | 2.0 | 2.3 | 1.39 | 1.53 | 1.06 |
| 10119 | ჰანზა-მაინცი | 2.45 | 2.0 | 4.0 | 1.1 | 1.51 | 1.33 |
| 10120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 2.2 | 2.0 | 4.65 | 1.04 | 1.49 | 1.39 |
| 10121 | შალკე-ნიურნბერგი | 1.7 | 2.5 | 6.0 | 1.01 | 1.32 | 1.76 |
| 10123 | ვერდერი-შტუტგარტი | 2.45 | 2.0 | 4.15 | 1.1 | 1.54 | 1.34 |
| 10124 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 4.5 | 2.0 | 2.25 | 1.38 | 1.5 | 1.05 |
| 10125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 2.2 | 2.0 | 4.65 | 1.04 | 1.49 | 1.39 |
| 10126 | დორტმუნდი-ჰერტა | 2.8 | 2.1 | 3.45 | 1.2 | 1.54 | 1.3 |
| 10198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 4.65 | 2.1 | 2.15 | 1.44 | 1.47 | 1.06 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10200 | ლაციო-ლივორნო | 2.05 | 2.1 | 4.75 | 1.03 | 1.43 | 1.45 |
| 10201 | ბოლონია-ინტერი | 3.8 | 2.0 | 2.5 | 1.31 | 1.5 | 1.11 |
| 10202 | მილანი-ბრეშა | 1.3 | 3.0 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.18 |
| 10204 | პალერმო-მესინა | 2.1 | 2.0 | 4.5 | 1.02 | 1.43 | 1.38 |
| 10205 | რეჯინა პარმა | 2.6 | 2.0 | 3.8 | 1.13 | 1.54 | 1.31 |
| 10206 | უდინეზე-რომა | 2.2 | 2.0 | 4.6 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10207 | კალიარი-სამპდორია | 2.75 | 2.0 | 3.5 | 1.15 | 1.53 | 1.27 |
| 10208 | ლეჩე-სიენა | 2.4 | 2.0 | 4.2 | 1.09 | 1.52 | 1.35 |
| 10209 | ატალანტა-კიევო | 2.6 | 2.0 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10231 | ალბასეტე-რეალი | 5.1 | 2.0 | 2.05 | 1.43 | 1.46 | 1.01 |
| 10233 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.8 | 2.1 | 5.4 | 1.0 | 1.35 | 1.51 |
| 10234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.7 | 2.2 | 6.0 | 1.0 | 1.32 | 1.6 |
| 10235 | ლევანტე-დეპორტივო | 3.1 | 2.0 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10236 | მალაგა-ხეტაფე | 2.1 | 2.0 | 4.6 | 1.02 | 1.44 | 1.39 |
| 10237 | რასინგი-ესპანიოლი | 2.5 | 2.0 | 3.8 | 1.11 | 1.5 | 1.31 |
| 10238 | სევილია-ნუმანსია | 1.75 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.35 | 1.66 |
| 10240 | სოსიედადი-ოსასუნა | 2.25 | 2.0 | 4.3 | 1.05 | 1.47 | 1.36 |
| 10241 | ვილიარეალი-ბილბაო | 2.2 | 2.0 | 4.5 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10242 | სარაგოსა-ვალენსია | 2.7 | 2.0 | 3.3 | 1.14 | 1.48 | 1.24 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17001 | ჩარლტონი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17003 | არსენალი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ლივერპული-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ფულჰემი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17117 | არმინია-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17119 | ჰანსა-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17121 | შალკე-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17123 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17124 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17126 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17200 | ლაციო-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17201 | ბოლონია-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17202 | მილანი-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17204 | პალერმო-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17205 | რეჯინა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17206 | უდინეზე-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17207 | კალიარი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17208 | ლეჩე-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17209 | ატალანტა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17231 | ალბასეტე-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17233 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17235 | ლევანტე-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17236 | მალაგა-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17237 | რასინგი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17238 | სევილია-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |
| 17240 | სოსიედადი-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17241 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17242 | სარაგოსა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ჩარლტონი-სიტი | 1.4 | 2.3 |
| 16002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 1.6 | 1.9 |
| 16003 | არსენალი-ნორვიჩი | 1.03 | 6.6 |
| 16005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 1.6 | 1.9 |
| 16006 | ლივერპული-ბოლტონი | 1.3 | 2.8 |
| 16007 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.05 | 5.7 |
| 16009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.3 | 2.8 |
| 16010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 3.5 | 1.2 |
| 16012 | ფულჰემი-პორტსმუთი | 1.4 | 2.3 |
| 16013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.9 | 1.65 |
| 16117 | არმინია-ლევერკუზენი | 1.9 | 1.6 |
| 16118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 2.5 | 1.3 |
| 16119 | ჰანსა-მაინცი | 1.4 | 2.4 |
| 16120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1.3 | 2.65 |
| 16121 | შალკე-ნიურნბერგი | 1.12 | 4.5 |
| 16123 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.4 | 2.4 |
| 16124 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 2.65 | 1.3 |
| 16125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.35 | 2.6 |
| 16126 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.6 | 1.9 |
| 16198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 2.7 | 1.3 |
| 16200 | ლაციო-ლივორნო | 1.2 | 3.2 |
| 16201 | ბოლონია-ინტერი | 2.1 | 1.5 |
| 16204 | პალერმო-მესინა | 1.3 | 2.8 |
| 16205 | რეჯინა-პარმა | 1.45 | 2.3 |
| 16206 | უდინეზე-რომა | 1.3 | 2.8 |
| 16207 | კალიარი-სამპდორია | 1.5 | 2.2 |
| 16208 | ლეჩე-სიენა | 1.4 | 2.3 |
| 16209 | ატალანტა-კიევო | 1.5 | 2.2 |
| 16231 | ალბასეტე-რეალი | 2.9 | 1.25 |
| 16233 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.15 | 3.8 |
| 16234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.13 | 4.0 |
| 16235 | ლევანტე-დეპორტივო | 1.85 | 1.6 |
| 16236 | მალაგა-ხეტაფე | 1.3 | 2.7 |
| 16237 | რასინგი-ესპანიოლი | 1.45 | 2.3 |
| 16238 | სევილია-ნუმანსია | 1.13 | 4.0 |
| 16240 | სოსიედადი-ოსასუნა | 1.35 | 2.6 |
| 16241 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.3 | 2.7 |
| 16242 | სარაგოსა-ვალენსია | 1.65 | 1.9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ჩარლტონი-სიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 | არსენალი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ლივერპული-ბოლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15012 | ფულჰემი-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15117 | არმინია-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15119 | ჰანსა-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15121 | შალკე-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15123 | ვერდერი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15124 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15126 | დორტმუნდი-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15200 | ლაციო-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15201 | ბოლონია-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15202 | მილანი-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15204 | პალერმო-მესინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15205 | რეჯინა-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15206 | უდინეზე-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15207 | კალიარი-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15208 | ლეჩე-სიენა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15209 | ატალანტა-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15231 | ალბასეტე-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15233 | ატლეტიკო-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15234 | ბარსელონა-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15235 | ლევანტე-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15236 | მალაგა-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15237 | რასინგი-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15238 | სევილია-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15240 | სოსიედადი-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15241 | ვილიარეალი-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15242 | სარაგოსა-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ჩარლტონი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 13002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13003 | არსენალი-ნორვიჩი | 1.9 | 1.7 |
| 13005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 13006 | ლივერპული-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.9 | 1.7 |
| 13009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 1.9 | 1.7 |
| 13012 | ფულჰემი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 13013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 13117 | არმინია-ლევერკუზენი | 1.5 | 2.3 |
| 13118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 1.6 | 2.1 |
| 13119 | ჰანსა-მაინცი | 1.55 | 2.1 |
| 13120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1.6 | 2.1 |
| 13121 | შალკე-ნიურნბერგი | 1.7 | 1.9 |
| 13123 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.6 | 2.1 |
| 13124 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 1.55 | 2.1 |
| 13125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.6 | 2.1 |
| 13126 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.6 | 2.1 |
| 13198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 13200 | ლაციო-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 13201 | ბოლონია-ინტერი | 1.7 | 1.9 |
| 13202 | მილანი-ბრეშა | 1.9 | 1.7 |
| 13204 | პალერმო-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 13205 | რეჯინა-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13206 | უდინეზე-რომა | 1.6 | 2.0 |
| 13207 | კალიარი-სამპდორია | 1.6 | 2.0 |
| 13208 | ლეჩე-სიენა | 1.6 | 2.0 |
| 13209 | ატალანტა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 13231 | ალბასეტე-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13233 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 13234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.9 | 1.7 |
| 13235 | ლევანტე-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 13236 | მალაგა-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13237 | რასინგი-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 13238 | სევილია-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 13240 | სოსიედადი-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 13241 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 13242 | სარაგოსა-ვალენსია | 1.7 | 1.9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | ჩარლტონი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 12002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 1.6 | 2.1 |
| 12003 | არსენალი-ნორვიჩი | 2.1 | 1.6 |
| 12005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 1.6 | 2.1 |
| 12006 | ლივერპული-ბოლტონი | 1.6 | 2.1 |
| 12007 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.9 | 1.7 |
| 12009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 12010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 12012 | ფულჰემი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 12013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 12117 | არმინია-ლევერკუზენი | 2.0 | 1.6 |
| 12118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 2.2 | 1.55 |
| 12119 | ჰანსა-მაინცი | 1.9 | 1.7 |
| 12120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1.9 | 1.7 |
| 12121 | შალკე-ნიურნბერგი | 2.2 | 1.55 |
| 12123 | ვერდერი-შტუტგარტი | 2.0 | 1.6 |
| 12124 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 2.0 | 1.6 |
| 12125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 2.0 | 1.6 |
| 12126 | დორტმუნდი-ჰერტა | 2.0 | 1.6 |
| 12198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 12200 | ლაციო-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 12201 | ბოლონია-ინტერი | 1.9 | 1.7 |
| 12202 | მილანი-ბრეშა | 2.0 | 1.6 |
| 12204 | პალერმო-მესინა | 1.6 | 2.0 |
| 12205 | რეჯინა-პარმა | 1.6 | 2.0 |
| 12206 | უდინეზე-რომა | 1.9 | 1.7 |
| 12207 | კალიარი-სამპდორია | 1.9 | 1.7 |
| 12208 | ლეჩე-სიენა | 1.9 | 1.7 |
| 12209 | ატალანტა-კიევო | 1.6 | 2.0 |
| 12231 | ალბასეტე-რეალი | 1.9 | 1.7 |
| 12233 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 12234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.9 | 1.7 |
| 12235 | ლევანტე-დეპორტივო | 1.6 | 2.1 |
| 12236 | მალაგა-ხეტაფე | 1.6 | 2.0 |
| 12237 | რასინგი-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 12238 | სევილია-ნუმანსია | 1.9 | 1.7 |
| 12240 | სოსიედადი-ოსასუნა | 1.9 | 1.7 |
| 12241 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12242 | სარაგოსა-ვალენსია | 1.6 | 2.0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ჩარლტონი-სიტი | 1.75 | 2.1 |
| 14002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 14003 | არსენალი-ნორვიჩი | 1.05 | 2.9 |
| 14005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14006 | ლივერპული-ბოლტონი | 1.65 | 2.3 |
| 14007 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.06 | 2.9 |
| 14009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.45 | 2.4 |
| 14010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 2.5 | 1.3 |
| 14012 | ფულჰემი-პორტსმუთი | 1.7 | 2.2 |
| 14013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.95 | 1.85 |
| 14117 | არმინია-ლევერკუზენი | 1.95 | 1.85 |
| 14118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 2.3 | 1.65 |
| 14119 | ჰანსა-მაინცი | 1.7 | 2.2 |
| 14120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1.65 | 2.3 |
| 14121 | შალკე-ნიურნბერგი | 1.2 | 2.6 |
| 14123 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.7 | 2.2 |
| 14124 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 2.3 | 1.65 |
| 14125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.65 | 2.3 |
| 14126 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.8 | 2.0 |
| 14198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 2.4 | 1.45 |
| 14200 | ლაციო-ლივორნო | 1.6 | 2.3 |
| 14201 | ბოლონია-ინტერი | 2.0 | 1.8 |
| 14202 | მილანი-ბრეშა | 1.03 | 2.9 |
| 14204 | პალერმო-მესინა | 1.65 | 2.3 |
| 14205 | რეჯინა-პარმა | 1.75 | 2.1 |
| 14206 | უდინეზე-რომა | 1.65 | 2.3 |
| 14207 | კალიარი-სამპდორია | 1.8 | 2.0 |
| 14208 | ლეჩე-სიენა | 1.7 | 2.2 |
| 14209 | ატალანტა-კიევო | 1.8 | 2.0 |
| 14231 | ალბასეტე-რეალი | 2.4 | 1.45 |
| 14233 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.3 | 2.5 |
| 14234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.3 | 2.5 |
| 14235 | ლევანტე-დეპორტივო | 1.9 | 1.9 |
| 14236 | მალაგა-ხეტაფე | 1.65 | 2.3 |
| 14237 | რასინგი-ესპანიოლი | 1.8 | 2.0 |
| 14238 | სევილია-ნუმანსია | 1.2 | 2.6 |
| 14240 | სოსიედადი-ოსასუნა | 1.7 | 2.2 |
| 14241 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.45 | 2.4 |
| 14242 | სარაგოსა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |

# ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 30-31 მარტი

# ბერძნულ-იტალიური ტრაგიკომედია

## აეკ-ს და კლიმამიოს ბურთი ნაცარში ჩაუვარდათ



**ესეც ასე,** ევროლიგის ჯგუფური ეტაპობანა მორჩა — წინ მეოთხედფინალებია. მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურმა ისე ჩაიარა, ტოტალიზატორის კლიენტები ახლა ალბათ მოგებების თვლაში არიან. პროგნოზები გამართლდა, ყველა ფავორიტმა მოიგო და თან ისე, არავითარი პრობლემა არ შექმნია.

თუმცა იყო ერთი გმირული მატჩი, რომელშიც სტამბოლის „ულქერმა" სასწაულებრივი მონდომების წყალობით დასცა სტუმრად „ციბონა", მაგრამ ბოლოს ისე გამოვიდა, თურქებს რომც წაეგოთ, მაინც გადიოდნენ პლეი ოფში.

საქმე ისაა, რომ „ულქერს" მეოთხედფინალის საგზურს იტალიური „სიენა" ეცილებოდა, რომელიც მოქმედ ჩემპიონ „მაკაბის" მასპინძლობდა და მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს. სიენელებს ებრაელთა ძლევა რომც მოეხერხებინათ, თუ „ულქერი" „ციბონას" დაამარცხებდა, იტალიელები მაინც მშრალზე რჩებოდნენ, რადგან თურქულ კლუბთან პირადულ მატჩებში ჰქონდათ უარყოფითი ბალანსი.

„სიენამ" მაინც ვერ მოახერხა „მაკაბის" დამარცხება და „ციბონა" — „ულქერის" მატჩის შედეგს აზრი დაეკარგა. არადა, თურქებმა არ იცოდნენ, თუ რას შვრებოდა მათი კონკურენტი და ხორვატებს ისეთი მისცხეს, ნახევარფინალის საგზურს ვერავინ დაამადლის.

საფინალო სირენამდე 15 წუთით ადრე „ულქერი" 10 ქულას აგებდა და ისე მოინდომა, დროის 4-წუთიანი მონაკვეთში 13:1 იმარჯვა და ორი ქულით დაწინაურდა. „ციბონა" მაინც დაწინაურდა თამაშის ბოლო წუთზე, მაგრამ სირენამდე 32 წამით ადრე თუთქუ აჩიკმა შაქარ-სამქულიანი ჩააგდო და ხორვატები წელში გატეხა.

„ულქერთან" ერთად D ჯგუფიდან მეოთხედფინალში „მაკაბი" გავიდა, რომელმაც, სხვათა შორის, ორი ტურით ადრე გაინაღდა ჯგუფში პირველობა. ახლა „მაკაბი" „სკავოლინის" ეთამაშება მეოთხედფინალში, „ულქერი" კი — ცსკა-ს. საკუთრივ ცსკა-ს და „სკავოლინის" ამ ტურამდე ჰქონდათ პლეი ოფში თამაში განაღდებული — მათ E ჯგუფში „ბარსა" და „რეალი" ადრიანად ჩამოიტოვეს.

საცოდაობა მოხდა G ჯგუფში, სადაც ათენის აეკ-ი პირველი ტურიდან მოყოლებული ლიდერობდა და ბოლო მატჩში დაკარგა მეოთხედფინალის საგზური. ბერძნებმა ეს ეტაპი ზედიზედ 3 მოგებით დაიწყეს, მაგრამ კალენდარი ჰქონდათ ისეთი მუხთალი, რომ ბოლო ტურში თავქარიანი თურქების ბუნაგში მოუწიათ თამაშმა და მათი საპლეიფო ოცნებაც სტამბოლში გაუფერულდა.

ანალოგიური ტრაგიკომედია გათამაშდა F ჯგუფში, სადაც მთელი ეტაპის განმავლობაში ცხრილს იტალიური „კლიმამიო" მეთაურობდა, მაგრამ... ეს ის „კლიმამიოა", შარშან ფინალში რომ გავიდა „სკიპერის" სახელით და იქ „მაკაბისთან" დამარცხდა. ძალიან კარგი გუნდია „კლიმამიო", მაგრამ როცა ყოფნა-არყოფნის მატჩის გამართვა საბერძნეთში „პანათინაიკოსის" წინააღმდეგ გიწევს, ალბათ განგების იმედზე უნდა იყო — აბა, ძალით ათენში ვერაფერს გახდები. ვერც გახდნენ. ის კი არა, „კლიმამიომ" კატასტროფულად, 23 ქულის სხვაობით წააგო და ლიდერობას შეჩვეული ბოლო ტურში უცაბედად მესამე უღიმღამო ადგილზე ჩამოქვეითდა.

„კლიმამიოს" წაგება წამლად წაადგა „ტაუს", რომელმაც ვილნიუსში „ჟალგირისი" გაითელა და „პანათინაიკოსთან" ერთად F ჯგუფიდან პლეი ოფში გავიდა.

აქეთა მეოთხედფინალისტები კი ასე დაწყვილდნენ: „პანათინაიკოსი" — „ეფესი", „ბენეტონი" — „ტაუ". პლეი ოფი 5-დან 14 აპრილამდე გაიმართება და ოთხთა ფინალის საგზური იმ გუნდებს ერგებათ, რომლებიც სერიაში ორ გამარჯვებას მოიპოვებენ. მოედნის უპირატესობა, ცხადია, ჯგუფის გამარჯვებულებს აქვთ.

ოთხი საუკეთესო რომ გამოვლინდება, მერე გვარიანი შესვენება გამოცხადდება და 6 მაისს მოსკოვი საოთხთაფინალოდ ათუხთუხდება. ნახევარფინალები 6-ში, ფინალი კი 8 მაისს გაიმართება მოსკოვის თვალუწვდენელ სპორტკომპლექს „უნივერსალში".

**ირაკლი პერტაია**

### D ჯგუფი

**სიენა 68:81 მაკაბი**

სიენა: კაჩიგი (14), გალანდა (13)
მაკაბი: ისპეკევუჩიუსი (15), პარკერი (12)

**ციბონა 64:68 ულქერი**

ციბონა: პოლიაკი (17), კრსტიჩი (16)
ულქერი: გონლუმი (14), პრაშკევიჩიუსი (10)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 6 | 6 | 0 | +86 | 12 |
| ულქერი | 6 | 3 | 3 | -35 | 9 |
| სიენა | 6 | 2 | 4 | +8 | 8 |
| ციბონა | 6 | 1 | 5 | -59 | 7 |

### E ჯგუფი

**სკავოლინი 66:84 ცსკა**

სკავოლინი: არჩიბალდი (11), პენი (10)
ცსკა: გრანგერი (22), მიუურსეპი (12)

**რეალი 76:73 ბარსელონა**

რეალი: ერეროსი (13), ერველე (12)
ბარსელონა: ფუჩკა (20), ზიზიჩი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 5 | 1 | +65 | 11 |
| სკავოლინი | 6 | 3 | 3 | -25 | 9 |
| ბარსელონა | 6 | 2 | 4 | -15 | 8 |
| რეალი | 6 | 2 | 4 | -25 | 8 |

### F ჯგუფი

**პანათინაიკოსი 78:55 კლიმამიო**

პანათინაიკოსი: ლაკოვიჩი (26), დიამანტიდისი (15)
კლიმამიო. სმოდიში (21), ვუიაჩიჩი (15)

**ჟალგირისი 82:86 ტაუ**

ჟალგირისი: პეკი (22), ტიშინსკასი (16)
ტაუ: სკოლა (18), მასიაულკა ა (18), კალდერონი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 6 | 4 | 2 | +30 | 10 |
| ტაუ | 6 | 4 | 2 | +43 | 10 |
| კლიმამიო | 6 | 4 | 2 | -8 | 10 |
| ჟალგირისი | 6 | 0 | 6 | -65 | 6 |

### G ჯგუფი

**პროკომი 51:85 ბენეტონი**

პროკომი: ვოიჩიკი (13), ჩირიჩი (11)
ბენეტონი: შიშკაუსკასი (20), ბულერი (15)

**ეფესი 69:62 აეკ**

ეფესი: დომერკანტი (18), პრკაჩინი (14)
აეკ: კუში (13), ხაძისი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 6 | 4 | 2 | +62 | 10 |
| ეფესი | 6 | 4 | 2 | +47 | 10 |
| აეკ | 6 | 4 | 2 | +9 | 10 |
| პროკომი | 6 | 0 | 6 | -118 | 6 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი



# რქები ავლესოთ, ხარებო, რქები ავლესოთ!

— 31 მარტი —

**ინდიანა 114:108 მაიამი**

ძირითადი დრო 94:94

ინდიანა: მილერი (31), ჯექსონი (29), ჯონსონი (16 ქულა, 13 პასი)
მაიამი: უეიდი (37), დ. ჯონსი (27), ონილი (24 ქულა, 13 მოხსნა)

**ჩიკაგო 102:90 კლივლენდი**

ძირითადი დრო 88:88

ჩიკაგო: გორდონი (26), დევისი (17), ჩანდლერი (15 ქულა, 14 მოხსნა)
კლივლენდი: გუდენი (27 ქულა, 12 მოხსნა), ჯეიმსი (26)

**ლეიკერსი 96:105 მინესოტა**

ლეიკერსი: ბრაიანტი (26), ბატლერი (22)
მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), ჰასელი (16)

**ხუთშაბათს** ოკეანგაღმა მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა, მაგრამ სამივე დაძაბული და საინტერესო. ექვს წელიწადს ცხრილის ფსკერის მხეხავმა და იქიდან წლეულსღა თავდაღწეულმა „ჩიკაგო ბულზმა" შინ ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდი" ოვერტაიმში დასცა და მიჯრით მერვე (!) გამარჯვება ჩაიწერა.

უდაძაბულესი შეხვედრა იყო, არც მეტი არც ნაკლები, ოცჯერ შეიცვალა ლიდერი და ასეთ მატჩს კანონზომიერი დასასრული ჰქონდა. ჯეიმსმა ძირითადი დროის ბოლო წამებზე სამქულიანი უთავაზა „ხარებს" და ამით თითქოს ფარ-ხმალი დააყრევინა, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. „ჩიკაგო" დამატებით ხუთწუთეულში შეუდარებლად ათამაშდა და 14 ქულა მიითვალა მეტოქეთა მხოლოდ ორის საპირისპიროდ. რაც შეეხება ლებრონს, მან ოვერტაიმში სამივე ნატყორცნი გააცუდა და მისთვის ხელებში შემყურე თანაგუნდელებს ქულაც ვერ შეაწია.

ამ გამარჯვებით „ჩიკაგომ" აღმოსავლეთში მეხუთე ადგილი გაიმყარა და კიდევ უფრო მიუახლოვდა ერთი საფეხურით მაღლა მდგომ „ვაშინგტონს". „ხარები" ისეთ ფორმაში არიან, ყველა შანსია, დედაქალაქელებიც უკან მოიტოვონ და პლეი ოფის პირველ წრეში მოედნის უპირატესობაც გამოჰკრან რქა.

დამატებითი დრო დასჭირდა „ინდიანასა" და „მაიამის" შორის [illegible] გარკვევას. ასეთ ფორმაში „მაიამი" არასოდეს ყოფილა, შაკილ ონილი და დუეინ უეიდი [illegible] მეტოქეზე ლეწავენ, მაგრამ [illegible]ვმებით და დისკვალიფიკაციებით შეჭირვებულ „ინდიანას" მაინც ვერაფერს უხერხებენ. რეჯი მილერმა, სტივ ჯექსონმა და [illegible] მათმა ამ სეზონში [illegible] შეხვედრაც მოიგეს ფლორიდელებთან და მათთან ზედიზედ გამარჯვებების სერია 12-მდე გაზარდეს. [illegible] იქნება, ეს გუნდები პლეი ოფში რომ გადაეყარონ ერთმანეთს და საჩემპიონოდ შემართული „მაიამი" ამ უხერხულმა მეტოქემ პირველივე რაუნდიდან გააგდოს.

აი, „ლეიკერსისთვის" კი პლეი ოფი სულ უფრო და უფრო მიუწვდომელი ხდება. [illegible] და სადღაც, კონფერენციის მე-10 ადგილზე გაჩხერილმა ლოსანჯელესელებმა შინაც კი ვერაფერი მოუხერხეს ზედა მეზობელ „მინესოტას" და ბოლო ათ შეხვედრაში მეცხრედ ჭამეს სარცხვენელი. „მინესოტამ" კი [illegible] მოიგო და საპლეიოფო [illegible] ორი-სამი გამარჯვების [illegible] მიუახლოვდა.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 54 | 19 | 74,0 |
| დეტროიტი | 44 | 27 | 62,0 |
| ბოსტონი | 38 | 33 | 53,5 |
| ვაშინგტონი | 40 | 30 | 57,1 |
| ჩიკაგო | 40 | 31 | 56,3 |
| კლივლენდი | 37 | 33 | 52,9 |
| ინდიანა | 37 | 34 | 52,1 |
| ფილადელფია | 35 | 36 | 49,3 |
| ორლანდო | 34 | 37 | 47,9 |
| ნიუ ჯერსი | 34 | 38 | 47,2 |
| ნიუ იორკი | 29 | 41 | 41,4 |
| ტორონტო | 29 | 42 | 40,8 |
| მილუოკი | 27 | 44 | 38,0 |
| შარლოტი | 15 | 55 | 21,4 |
| ატლანტა | 11 | 60 | 15,5 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ფინიქსი | 54 | 17 | 76,1 |
| სან ანტონიო | 53 | 18 | 74,6 |
| სიეტლი | 49 | 22 | 69,0 |
| დალასი | 48 | 23 | 67,6 |
| ჰიუსტონი | 44 | 28 | 61,1 |
| საკრამენტო | 44 | 29 | 60,3 |
| დენვერი | 39 | 31 | 55,7 |
| მემფისი | 39 | 31 | 55,7 |
| მინესოტა | 38 | 34 | 52,8 |
| ლეიკერსი | 33 | 38 | 46,5 |
| კლიპერსი | 32 | 40 | 44,4 |
| გოლდენ სტეიტი | 26 | 45 | 36,6 |
| პორტლენდი | 24 | 46 | 34,3 |
| იუტა | 22 | 49 | 31,0 |
| ნიუ ორლეანი | 16 | 54 | 22,9 |

*პირველი სამი ადგილი დივიზიონის ლიდერებს უჭირავთ*

# შარაპოვას აღარ ახსოვს ორი კვირის წინანდელი



AFP მაიამიდან

**ორი** კვირის წინ ინდიანუელსის ფინალში ლინდსი დევენპორტისგან 0:6 0:6 რომ დაიწია, მრავალმა მისი სამსუხიანო ამბიციები ლამის დამარხულად მიიჩნია. მაგრამ მარია შარაპოვა ჯერ ჩვიდმეტი წლისაა — თვრამეტის სამ კვირაში უნდა გახდეს — და, რაკილა სამყაროს ჯერაც ბავშურად აღიქვამს, დიდ გამარჯვებებსაც უფრო მალე ივიწყებს და დიდ დამარცხებებსაც. სწორედ ამიტომ იყო, ინდიანუელსის მომდევნოვე ტურნირზე ისევ შეუბორკავად და ლაღად რომ გაირღვა და ზედიზედ მეორე ბობოლა ფინალს უწია.

ტრიბუნაზე მოკალათებული სერენა უილიამსი ბევრს კი ეცადა, მატჩის მსვლელობისას თავისი უფროსი დაიკოსთვის ანტიშარაპოვისტული ილეთები ეკარნახა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. შემზარავად მოგლეჯურნე და ამაზრზენად მოკრუსუნე რუსმა ნინველამ მთელი შეხვედრა ერთობ უშეცდომოდ ჩაატარა და ათას კორტზე გადამხტარი მეტოქე საბრეიკპოინტეზე მხოლოდ უკანასკნელ გეიმშილა მიიკარა. ეს გეიმი მართლაც ხანგრძლივი გამოდგა და მაშას დარად უხმამაღლესად აკვნესებულ ვინუსს ექვსჯერ მიეცა მატჩის გარდატეხის შანსი. მაგრამ რუსმა ლერწამგოგომ ამდენჯერვე სალოლ შეძლო, სადავეები უკუეპყრა და ვინუსის ალტყინებული ხურუში დაეგრილებინა. ყველაფერი გადაღლილობის ბრალი იყოო, იმართლებოდასავით ნამატჩევს ვინუსი და ამ მიზეზის მოხმობით მაშას ერთგვარად გამარჯვებას უტრიზავებდა. თავად მაშა კი, ბაბაია, ხარობდა და ჩვენ რომ მისი ორიკვირისწინანდელი გაბითურება მოვიგონეთ, ეგ უკვე საერთოდაც აღარ მახსოვსო, თქვა.

თავის პირველ კიბისკეინურ ფინალში კი მას ერთწლიანი ტრავმიანობის შემდეგ ზეპურთა შორის უსწრაფესად დაბრუნებულ კიმ კლაისტერსთან მოუწევს რკენა. კიმთან დაკავშირებით ამ ბოლო კვირათა განმავლობაში — ანუ იმ დროს, რაც რომ მან ჯერ ინდიანუელსობა აათხრა, ხოლო მერე მაიამის დაატყდა ტორნადოსავით — ჩვენ კაი ბლომად სადღეგრძელო შემოგთავაზეთ. ამიტომ ახლა კნინითღა შემოვიფარგლებით და შეგახსენებთ, რომ ამელი მორეზმოს ზედიზედ მეშვიდე ძლევით ამ 21 წლის ბელგიურმა სიბომბორემ თავისი ზედიზედვე მე-13 გამარჯვება მიითვალა. ამქრის პირველოსნობაზე მეოცნებე მორეზმო მან დასტურ უმოწყალოდ შემუსრა და ამ ამბავს, გაწიგამოწი, მხოლოდ 62 წუთი მოანდომა. დღეს კი მას შეუძლია გახდეს მეორე ქალმეჩოგნე, ინდიანუელსური და მაიამური ტურნირები მიჯრით რომ მოუგია. პირველი, ცხადია, შტეფი გრაფი გახლდათ, ვინაც ამის გაკეთება ორჯერ — 1994 და 1996 წლებში მოახერხა.

სხვაფრივ — კაი შუშპარა და ეშხიანი უნდა გამოგვიდგეს კაცთა მეორე ნახევარფინალი, რომელშიც ერთმანეთის ტურნირის ექვსგზის ჩემპიონი ანდრე აგასი და ამქრის ფასკუნჯი, თავის პირველ კიბისკეინურ სკალპზე მონადირე როჯერ ფედერერი შეეხლებიან. ფასკუნჯმა კვლავაც ჰეროვნად ჩაუცეკვა შევეტერნებულ ტიმ ჰენმანს, ვინაც ვგონებ ერთადერთია, ამ მარცხის მიუხედავად მასთან პირად დავაში მაინც რომ უპირატესობს (6:4). ისე კი, ეს ფედერერის (ერთი მარცხის წილ) 30-ე საამსუხიანო და (ნაიმარცხევს) ზედიზედ 20-ე გამარჯვებაა.

რაც შეეხება ერთ თვეში გასაოცდათხუთმეტწლისებელ ანდრე აგასის, ვინაც ოქტომბრის მერე პირველ, საერთოდ კი მე-60 ტიტულისთვის ილვწის, მან პრინციპში იოლად გადალახა ჰოტროველა თვისტომის, ტაილორ დენტის წინაღობა. დენტი პირველ სეტშიც ვერ იყო მთლად რამსებდალაგებული, მეორეში კი ნატკენი კოჭი გაიმიზეზა და სულ მთლად აიჭრა. ფედერერს ახლა ეგ თუ მოერევაო, აღლეგრძელებდა დენტი მერე არმენიამერიკელს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ სტატისტიკა ცოტა განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის: ფედერერისა და აგასის ბოლო ექვსი შეხვედრიდან ექვსივე შვეიცარიელის გამარჯვებით დასრულებულა.

კაცთა მეორე ნახევარფინალში კი გუშ-გვიან-ღამ რაფაელ ნადალისა და დავიდ ფერერის ესპანური შიდაჯახი უნდა შემდგარიყო.

**არტემ ჩაჩანიძე**

**NASDAQ-100 OPEN**

მაიამი. მაგარსაფარი კაცები. საპრიზო 3,2 მლნ. $

**მეოთხედფინალი**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ტიმ ჰენმანი (6, ბრიტანეთი) 6:4 6:2; **ანდრე აგასი** (9, აშშ) — ტაილორ დენტი (31, აშშ) 7:5 6:0

ქალები. საპრიზო 3,115 მლნ $

**ნახევარფინალი**

**კიმ კლაისტერსი** (1, ბელგია) — ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) 6:1 6:0; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — ვინუს უილიამსი (8, აშშ) 6:4 6:3



FORMULA 1

**მესამე ეტაპი** ბაჰრეინის დიდი პრიზი

საჰირი

მანამა, 3 აპრილი



**ტრასის სიგრძე** -------------------------------- 5.417 კმ

**რბოლის დისტანცია** ------------------------ 57 წრე — 308.769 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 15.30 საათზე*

**შარშან:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 ბატონი (BAR); 4 ტრული (რენო); 5 სატო (BAR); 6 ალონსო (რენო); 7 რ. შუმახერი (უილიამსი); 8 ვებერი (იაგუარი)

**წრის რეკორდი:** 2004 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:30.252 (216,1კმ/სთ)

# ბაჰრეინში ბუმია

**სპარსეთის** ყურეში კუნძულოვანი ბაჰრეინის დიდი პრიზის გათამაშებას მომეტებული აჟიოტაჟი უძღვის. საწყის ორ რბოლაში „ფერარის" პრემიერის მიხაელ შუმახერის არნახულმა ჩაფლავებამ (ერთი გამოთიშვა და ერთიც მეშვიდე ადგილი) და ამის გამო საფორმულო ძალთა, ვფიქრობთ, დროებითმა გადანაწილებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონატს უზარმაზარი ინტრიგა და ინტერესი შემატა.

ფაქტიც, რომ იტყვიან, სახეზეა: მანამაში ბილეთების ბუმია. ეტყობა, ბევრნი არიან იმის იმედით, რომ საკუთარი თვალით იხილონ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ „წითელი ბარონის" მორიგი ფიასკო და ის, რაც ახალი თაობის ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა ჯენსონ ბატონმა სხვების მსგავსად გულში ჩაიდო: „ფერარი ძალიან დიდი ხანია, მწვერვალზე დგას და ასე დაუსრულებლად ხომ არ გაგრძელდება. შეუძლებელია, ლიდერობამ ათი წელი გასტანოს. ასე რომ, მათი ხანა მალე დასრულდება. ჩემი მიზანია, უკვე წლევანდელ სეზონში პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე შევდგე და მიხაელს ზევიდან გადმოვხედო."

ერთი სიტყვით, შუმის „მტრები" მოუმრავლდნენ და თანაც მოუძლიერდნენ. როგორი ამბავია, ორი ეტაპის შემდეგ სატურნირო ცხრილის თავში დგანან ფერნანდო ალონსო, ჯანკარლო ფიზიკელა, იარნო ტრული, დიადი მიხაელი კი ორად ორი ქულით მხოლოდ მეთერთმეტეა.

ამიტომაც იყო, რომ „ფერარიმ" ახალი ბოლიდის გამოცდა დააჩქარა და ჯერ კიდევ შარშან დაგეგმილ სამაისო დებიუტის ნაცვლად უკვე დღე-ხვალ „საჰირის" ტრეკზე გამოაჯირითებს. მაგრამ ისე არ მოხდეს, რომ ამ გაუთვალისწინებელმა აჩქარებამ დათვური სამსახური გაუწიოს სკუდერიელებს და უარესად შერცხვნენ.

ისე, ერთი კვირის წინ „ფერარი 2005"-ის ტესტირებით მიხაელიც და მისი დუბლიორი რუბენს ბარიკელოც კმაყოფილები იყვნენ. მანქანა შარშანდელზე სწრაფი ჩანს და დაკარგულს მალე დავიბრუნებთო. ხვალ ქარავანში ორი ცვლილება იქნება. ჩოგბურთის თამაშისას მხრის დაშავების გამო ხუან-პაბლო მონტოიას ადგილს „მაკლარენში" კუნძულის ესპანელი ტესტმძღოლი პედრო დე ლა როსა დაიკავებს. ვირუსული გრიპის მიზეზით წინა რბოლის გამოტოვების შემდეგ BAR-ს დაუბრუნდა იაპონელი ტაკუმა სატო.

გუშინ მანამაში პირველი ვარჯიშისას საუკეთესო იყო „ტოიოტას" სათადარიგო პილოტი რიკარდო ზონტა, მიხაელი 0,6 წამით ჩამორჩა, ბარიკელოს მეხუთე დრო ჰქონდა.

შესვენების შემდეგ მეორე გასვლაზე ხუთკილომეტრიანი წრე ყველაზე სწრაფად გაიქროლა „მაკლარენის" სათადარიგომ ალექს ვურცმა, მეორე იყო ალონსო, შემდეგ ვიტანტონიო ლიუცი („რედ ბული"), დე ლა როსა („მაკლარენი"), მიხაელ შუმახერი...

**გია აჩალაძე**



AFP ბაჰრეინიდან

გუშინ, მეორე ცდაზე ყველაზე სწრაფი ალექს ვურცის „მაკლარენი" იყო



ზე-თორმეტი

# დაუმარცხებლები დიდი ბრძოლის მოლოდინში

**სამხრეთ** ნახევარსფეროში ზე-თორმეტის გათამაშება იმ ფაზაში შევიდა, ფავორიტები და აუტსაიდერები მკვეთრად რომ იკვეთებიან ხოლმე.

ნახევარფინალებამდე ჯერ შორი გზაა დარჩენილი, თუმცა ავსტრალიურ „ვარატასს" რომ პლეიოფში მოხვედრა არ გაუჭირდება, აქედანვე ჩანს. წლეულს ავსტრალიელები დაუმარცხებლები არიან, თუმცა დღეს დიდი ბრძოლის გადახდა მოუწევთ. ავსტრალიაში ზელანდიური „ქრუზეიდერსი" ჩავიდა სათამაშოდ. „ჯვაროსნები" წლევანდელ გათამაშებაში მეოთხე ადგილზე არიან, თუმცა მასპინძლებთან შედარებით ერთით ნაკლები თამაში აქვთ ჩატარებული. ფავორიტის დასახელება რთული საქმეა. ავსტრალიელებს ხუთი მოგება აქვთ, ზელანდიელებს სამი მოგება და ერთიც წაგება, თუმცა ეს წაგებაც ძლიერი გუნდისგან, მოქმედი ჩემპიონი „ბრამბისისგან" იწვნიეს. ამას გარდა „ქრუზეიდერსი" ზე-თორმეტის ყველაზე ტიტულიანი კლუბია. ასე რომ, მათი დაჩაგვრა, თუნდაც საკუთარ მოედანზე, რთული საქმე გახლავთ. ამ მატჩის ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია, მიუხედავად იმისა, არეულობა, ალბათ მაინც არ იქნება. ავსტრალიური რაგბის ქომაგნი, ზოგიერთი ქვეყნის ვაიგულშემატკივრებისგან განსხვავებით, კულტურული ხალხია.

დღეს მეორე მატჩიც გაიმართება. „ბლუზი" ოკლენდში ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს, ავსტრალიურ „ბრამბისს" უმასპინძლებს. „ლურჯებს" ოთხ თამაშში თანაბარი რაოდენობის წაგება და მოგება აქვთ, „ბრამბისმა" კი ბოლო თამაშში ყველასგან მოულოდნელად აუტსაიდერ „შარქსთან" წააგო. ასე რომ, ჩემპიონებს სტუმრად ძალიან გაუჭირდებათ.

მათ საქმეს ისიც ართულებს, რომ სტივენ ლარქემი, გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე და ლიდერი, ცუდ ფორმაშია და ეგებ სასტარტო განაცხადში ვერ მოხვდეს.

მეექვსე ტური დღეს ამ ორი თამაშით დამთავრდება, დაწყებით კი გუშინ დაიწყო და ორი თამაშიც ჩატარდა. „ჰარიკეინსმა" ველინგტონში „ჩიფსი" დაამარცხა 28:16, „ქუინსლენდ რედსმა" კი ბრისბენში „ჰაილენდერსს" უმასპინძლა და 16:23 დამარცხდა. შედეგად „ჰაილენდერსი" ნახევარფინალში მოხვედრის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად რჩება, „წითლებს" კი ამის იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეთ.

**ლადო ფულუკიძე**

# ხუთი რგოლის მიანდეს



**თბილისის** მერიის სპორტის სამსახურის უფროსი, საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი უდესიანი ამჯერიდან ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თბილისის ორგანიზაციასაც უხელმძღვანელებს. უდესიანმა ამ პოსტზე გუშინ შეცვალა დავით ოქიტაშვილი, რომელმაც სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო უფლებამოსილება მოიხსნა.



## ამბერის ტურნირი

მონტე კარლო. მონაკო 19 - 31 მარტი

**XI ტური**

| | | |
|---|---|---|
| ევგენი ბარეევი (რუსეთი) — ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5 | 0,5:0,5 |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | 0,5:0,5 |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | 0:1 |
| პეტერ სვიდლერი (რუსეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0:1 | 0:1 |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | 0:1 |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) — ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) | 0,5:0,5 | 1:0 |

პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი პარტიის შედეგი

# ანანდმა პირველი მეოთხედ, მოროზევიჩმა მეორე მეორედ მოიგო



**ამბერის** მე-14 გათამაშებას რომ ვიშვანათან ანანდი მოიგებდა, ეს ორი ტურით ადრე გახდა ცნობილი და ბოლო ტურში მხოლოდ მეორეადგილოსანი დარჩა გასარკვევი. ამ პოზიციაზე ორი დიდოსტატი, უნგრელი პეტერ ლეკო და რუსი ალექსანდრ მოროზევიჩი აცხადებდა პრეტენზიას, ბოლო ტურში კი ორივეს მეტოქედ ესპანეთის სახელით მოასპარეზე მოჭადრაკეები ერგოთ და გამარჯვება ამბერში უფრო გამოცდილ რუსს დარჩა.

მოროზევიჩი მონტე-კარლოს ტურნირში 2002 წლიდან ასპარეზობს და გათამაშება ორჯერ მოუგია. 2002 წელს იგი პირველ ადგილზე გავიდა, 2003-ში მეორეზე, ხოლო 2004-ში თანამემამულე ვლადიმერ კრამნიკთან ერთად კვლავ პირველი იყო.

რაც შეეხება წლევანდელ ამბერს, დაფაზედაუხედავი პარტია მოროზევიჩმა ვალეხოსთან 30-ე სვლაზე ყაიმით დაასრულა და საქმე წინ ვერ წაიგდო. თანაც მისმა კონკურენტმა ლეკომაც ნახევარი ქულა აიღო და ვინ იცის, სწრაფში რას იზამდა. ამიტომაც სწრაფ პარტიაში ორივე კონკურენტმა მოსაგებად დაიწყო თამაში.

ვალეხომ და მოროზევიჩმა მეორე პარტიაში ძველინდური დაცვა გაითამაშეს. ესპანელმა ცენტრში სამი პაიკი გამოიყვანა, ზურგიდან მხედრები მიუსვა, მე-8 სვლაზე როქი გააკეთა და ცენტრში გაბატონდა. ამასობაში მოროზევიჩმა უკანა ფლანგი გაამაგრა, ესპანელის იერიშებს მომზადებული დაუხვდა და თავისუფლად მოძრაობის საშუალება არ მისცა. მე-17 სვლაზე ვალეხომ d6-ე უჯრაზე გაამაგრა პაიკი და ბრძოლებიც ამ ფიგურის გარშემო გაგრძელდა. შეტაკებებში მრავალი ფიგურა დაილუპა, დაცვაში უფრო მობილიზებულმა რუსმა კი პაიკი მოიგო და გაცვლებს უფრო ყოჩაღად მიმართა. ხარისხით დაწინაურებულმა მოროზევიჩმა იოლად შეძლო ჯარნაკლული მტრის გატეხვა, ორი პაიკი ჩასათვლელ ხაზს ერთ ნაბიჯამდე მიაახლოვა და 69-ე სვლაზე ძვირფასი ქულა მოიპოვა.

ლეკო კი შიროვთან საშინლად დამარცხდა, მეოთხე ადგილზე ჩავიდა და მეორე ადგილი მოროზევიჩს ხვდა წილად.

საუცხოოდ ჩაატარა ტურნირი ტრიუმფატორმა ანანდმა. მან ცალცალკე სწრაფ და დაფაზედაუხედავ ტურნირებშიც იმარჯვა, საბოლოოდ კი 15,5 ქულა მოაგროვა და მთავარ კონკურენტებს 2,5 ქულით გადაუსწრო. ცნობისთვის, ინდუსმა ამბერი მეოთხედ მოიგო.

საშინლად იასპარეზა რუსმა ევგენი ბარეევმა. მან დაფაზედაუხედავი ვერც ერთი პარტია ვერ მოიგო, თუმც სწრაფში შედარებით იყოჩაღა და რვა ქულით ბოლო ადგილს ასცდა. იქ კი მასზე უარესად მოთამაშე ჰოლანდიელი ლუკ ვან ველი გავიდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 8/7,5/15,5 |
| 2 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 6/7/13 |
| 3 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 6/6/12 |
| 4 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 6/6/12 |
| 5 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 5,5/6/11,5 |
| 6 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 5,5/5,5/11 |
| 7 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 6/5/11 |
| 8 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 4,5/6,5/11 |
| 9 | ბორის გელფანდი (ისრაელი) | 5,5/4,5/10 |
| 10 | ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) | 6/3,5/9,5 |
| 11 | ევგენი ბარეევი (რუსეთი) | 3/5/8 |
| 12 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 4/3,5/6,5 |

პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი, პარტიის შედეგი, მეორეზე სწრაფის



# ს ა ხ ა ლ ი ს ო ჭ ა დ რ ა კ ი

## სალაღობო ამბები მერვე ჩემპიონის ცხოვრებიდან



ტიგრან პეტროსიანი

17.06.1929 თბილისი — 13.08.1984 მოსკოვი

ტიგრან პეტროსიანი მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონი იყო და თბილისში გახლდათ დაბადებული. ის ამბობდა: ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჭადრაკი მართლა თამაშია, მაგრამ შემთხვევითობები არ გამოირიცხებაო

### ჭადრაკში მოგებული ცოლი

ამბობენ, რონა, პეტროსიანის მომავალი მეუღლე ძალიან ლამაზი იყოო და ცხადია, თაყვანისმცემლებიც არ აკლდა.

პეტროსიანის გარდა, რონა დიდოსტატ ეფიმ გელერსაც მოსწონდა. ეს ორი დიდოსტატი 1952 წელს ერთად მოხვდნენ. ტურნირის დაწყებამდე რონასთვის ვიღაცას უკითხავს, შენ თვითონ რომელი უფრო მოგწონსო. რონამ უპასუხა, ტურნირი გვანახებსო.

შვედურ ტურნირში პეტროსიანმა გელერს 1,5 ქულით გაუსწრო და ამით თავისი და რონას ბედიც გადაწყვიტა.

### საბინაო საკითხი

„ახალდაქორწინებულები ძალიან პატარა, ოროთახიან ბინაში ცხოვრობდნენ. პეტროსიანი სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" წევრი იყო და ერთხელაც ცსკა-ში გადასვლა შესთავაზეს. თან საბინაო პრობლემების მოგვარებასაც დაპირდნენ. იმ დროს ჭადრაკი მარშლების და გენერლების უსაყვარლესი თამაში იყო და პეტროსიანს ერთბაშად ოთხოთახიან ბინაში გადასვლის შანსი ეძლეოდა.

— რა არის აქ საფიქრალი — გაუცხარდა ერთხელ ცოლი — წარმოიდგინე, შენი საკუთარი კაბინეტი გექნება!

მაგრამ პეტროსიანმა, რომელიც მთელი ცხოვრება „სპარტაკის" თავგადაკლული გულშემატკივარი იყო, მხრები აიჩეჩა: დღეს უკეთესი ბინის ხათრით „სპარტაკიდან" ცსკაში გადავალ. ხვალ კი უკეთეს ცოლს მოვძებნი და მიგატოვებ.

ამ პასუხის მერე, ცოლს პეტროსიანისთვის ალარაფერი უთქვამს, თუმცა ახალ ბინაში გადასვლის სურვილიც არ განელებია.

### საბინაო საკითხი — 2

რონამ პეტროსიანი ყველა საოჯახო პრობლემისგან გაანთავისუფლა. ზემოთ ნახსენები დიალოგიდან ერთი წლის მერე კი პეტროსიანები ახალ, ოთხოთახიან ბინაში გადაბარგდნენ.

გროსმეისტერმა შამკოვიჩმა ეს ამბავი რომ გაიგო, გაიოცა და იკითხა, როგორ მოახერხა პეტროსიანმა თავისი უბადრუკი ბინის ასეთ აპარტამენტებზე გადაცვლაო.

ასეთი პასუხი მიიღო: პეტროსიანს მხოლოდ ეტლის მხედარში გაცვლა შეუძლია, ყველაფერ დანარჩენს მისი ცოლი ცვლისო.

### ჩემპიონის ცრემლები

პეტროსიანს „რკინის ტიგრანის" იმიჯი ჰქონდა, მაგრამ ერთხელაც ეს მითი დაირღვა. პეტროსიანი მუდამ მარცხდებოდა ვიქტორ კორჩნოისთან, ვინც მისთვის ყველაზე უხერხული მეტოქე იყო.

პეტროსიანის სეკუნდანტი გროსმეისტერი ზაიცევი იხსენებდა: საპრეტენდენტო მატჩში ტიგრანს დაურეკეს და უთხრეს, რომ წილისყრით კორჩნოისთან დაეწყვილა. პეტროსიანმა ყურმილი უხმოდ დადო, თვალები კი ცრემლებით ჰქონდა სავსე.

### რეგატა ღმერთთან

იუგოსლავიაში, პრეტენდენტთა ტურნირში პეტროსიანი ისლანდიელ გროსმეისტერ ოლაფსონს უნდა შეხვედროდა. შორიახლოს, ტბის შუაგულში კუნძულზე ეკლესია იყო და ამბობდნენ, ვინც იმ ეკლესიაში ღმერთს რამეს შესთხოვს, უეჭველად აუსრულდებაო.

ოლაფსონი თამაშის დღეს გამთენიისას ადგა, ნავი დაიქირავა და კუნძულისკენ გაცურა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა თხოვნაც ექნებოდა ღმერთთან. კუნძულს რომ მიუახლოვდა, მეორე ნავი დაინახა, კუნძულიდან აქეთ რომ მოცურავდა, ნავში კი ტიგრან პეტროსიანი იჯდა. ისლანდიელი კუნძულზე აღარც გადასულა.

**არტემ გეშაძოვი**



### ინგლისი

პირველი ლიგა. XLI ტური

დონკასტერი 1:1 კოლჩესტერი

მეორე ლიგა. XLI ტური

საუთენდი 2:0 როვერსი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა XXVII ტური

ალემანია 5:1 ერფურტი

ესენი 2:1 დინამო

აუე 2:0 კოტბუსი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXIX ტური

ოსნაბრიუკი 0:2 ლიუბეკი

ზანკტ პაული 0:0 დორტმუნდი (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა XXVII ტური

მიუნხენი (მ) 0:1 დარმშტადტი

ნოტინგენი 1:1 ელვერსბერგი

კობლენცი 3:3 შტუტგარტი (მ)

### პოლონეთი

პირველი ლიგა. XVI ტური

ლეხი — პოგონი 0:1-ზე ჩაიშალა

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XXVII ტური

ვიტესი 1:1 ტვენტე

II დივიზიონი. XXVIII ტური

აპელდორნი 2:1 კამბური

ვეენდამი 0:0 ზვოლე

დორდრეხტი 1:0 ვენლო

სიტარდი 0:0 ოსი

იგლსი 2:1 ჰაარლემი

ჰელმონდი 2:0 ემენი

ჰერაკლესი 0:1 ვოლენდამი

სპარტა 5:1 ეინდჰოვენი

ტელსტარი 2:0 მაასტრიხტი

### იტალია

სერია B. XXXII ტური

ჩეზენა 0:1 არეცო

სერია C1/A. XXXII ტური

პრო პატრია 0:1 კრემონეზე

### ფინეთი

თასის პირველი ეტაპი

ჰიკ — ლაჰტი გადაიდო

მიუპა — ალიანსი გადაიდო

### ავსტრია

I დივიზიონი. XXV ტური

ალტახი 0:0 კერნტენი

ლეობენი 2:0 გრატკორნი

რიდი 4:1 კაპფენბერგი

უნტერზიბენბრიუნი 0:0 ლინცერი

ვიორგლი 2:1 აუსტრია (ლ)

### ირლანდია

პრემიერლიგა. III ტური

ბოჰემიანსი 0:1 დერი სიტი

ბრეი 1:0 დუბლინი

დროჰედა 1:1 სენტ პატრიკსი

შელბურნი 1:0 უოტფორდი

ლონგფორდი 0:1 კორკ სიტი

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

XXXI ტური

ამიენი 1:1 გენგამი

კლერმონი 0:0 ნანსი

კრეტეი 2:0 ლორიანი

გრენობლი 2:0 შატორუ

გენიონი 0:1 დიჟონი

ლე ავრი 0:1 მონპელიე

ნიორი 2:0 ლავალი

რეიმსი 1:1 ანჟე

ბრესტი 2:0 სედანი

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# კი ბისკეინის ნაპირი

კი ბისკეინში ნასდაკ-2007-ის საჩოგბურთო ტურნირი გახურებულა. ფოტოგრაფებს მეტად მოსწონებიათ სერბი ანა ივანოვიჩი, რომელსაც თურმე სულ ფლორიდის თბილ წყალში უღეს სურათები.



AFP კი ბისკეინიდან



REUTERS

# პრეზიდენტი და შევა

როგორც იქნა ერთმანეთს შეხვდა ორი ყველაზე განთქმული უკრაინელი: „პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო და ფეხბურთელი ანდრეი შევჩენკო. შევჩენკო ახლა სახის ტრავმას იშუშებს და ნაკრებს მხოლოდ თავისი კიევში ჩასვლით და ქომაგობით დაეხმარა. თავიდან შევა იუშჩენკოს მოწინააღმდეგეებს აქებდა, მაგრამ მალევე გამოაცხადა, რევოლუციას ვუჭერ მხარსო.





AFP მადრიდიდან

# მადრიდი ელის

ეს მადრიდია, პლასა მაიორის კაფეები ღამით და ჯიგრიანი ესპანური საჭმელი რესტორნის ვიტრინაში. სპორტისა აქ არაფერი ჩანს, მაგრამ მადრიდს 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა სურს. მადრიდი ოლიმპიადის გარეშეც არ დაკარგავს თავის ჯადოსნობას, თუმცა სურს. კონკურენტები მძლავრნი არიან: პარიზი, მოსკოვი, ნიუ იორკი და ლონდონი, გამარჯვებული კი 6 ივლისს სინგაპურში გამოვლინდება, სოკ-ის 117 წევრი თავისი ხმებით გაარკვევს ყველაფერს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კოტე ინასარიძე, ილია ნაროზაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღელჯაშვილი, ბადრი კვიტაიძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხრიკაშვილი, ელენე გულუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მაისაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42. II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge